	35—45	4,48	—	—	26,02	22,24	—	—	(11)	

როგორც მე-3 ცუნდან დაზე აღნიშნული ნიადაგები ხასიათდებიან შარცულოვან-გორონეოვანი სტრუქტურით. აგრონომიულად უფრო მეტი ლირ-სების მქონე 5—1 შპ ზომის აგრეგატები ამ ნიადაგებში ამაღლებულია და გრძელებულიყ; იგი ზედა 0—10 სმ ფენისაოვის უდინის 44,5%, მისი ოდენობა სილრმისაკენ მატულობს და 20—30 სმ სილრმეზე 54,5%-მდე აღის, რაც როგორც ზემოთაც აღვნიშვნეთ, უნდა მიეწეროს კალციუმის კარბონატების ან ჰუმურის მოქმედებას.

ასეთი მაღალი აგრეგატობა ამ ნიადაგებში ქმნის ხელსაყრელ ფორმინობას, რომელიც აპირობებს კარგ ფილტრუების, რაც ხშირი მორწყვის პირობებში წყლის დატბორებას არ გამოიწვევს.

აღნიშნულ ყავისფერ ნიადაგებზე ვაზის გაშენებისას კირგამძლე საძირეების სწორად შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს და მაღალ აგროტექნიკურ ლონისძიებათა გამოყენებით მაღალი მოსავლის მიღებას მივაღწევთ.

ყავისფერი ნიადაგების მარცულოვან-გორონეოვანი რელიეფის პირობებში გვარცელების გამო მრავალ შემთხვევაში ზედაპირული ჩამარცვლის მოვლენებს აქვს აღვილი, ამიტომაც მათი ნაყოფიერების ამაღლებისათვის საჭირო ლონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვანი აღვილი უნდა დაეთმოს ერთხისის საწინააღმდეგო ბრძოლას.

აღნიშნული ნიადაგების ფართო მასივები გავრცელებულია სარწყავ ზონაში და ამიტომაც საჭიროა საჭირავი ლონისძიებების ამაღლება და ჩრდილი კულტურის დანერგვა.

აგრეთვე აუცილებელ და საჭირო ლონისძიებებს წარმოადგენს ამ ნიადაგების სტრუქტურის დასადგნად, შესაქმნელად და მის შესანარჩუნებლად როგორც ერთწლიანი სასიდერატო პარკოსანი კულტურების, აგრეთვე მრავალწლიანი მარცვლოვანი ბალახების პარკოსნებთან ერთად თესვა, რომელიც



სათანადო რწყევის, სასუქების შეტანის და დაბალი ფერდობების კრიზისი და წინააღმდეგოდ დატერასებასთან ერთად მნიშვნელოვნება ამაღლებს. რწყებულები ნაყოფიერებას, რაც საფუძველია მზარდი და მყარი ნაყოფიერების გარემონტირებას. მოსავლის მისალებად ცველა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვეს.

როგორც ზემომოყვანილი მასალებიდან ვხედავთ, მცხეთის რაიონში გვერდებული ნიადაგები და კლიმატური პირობები ყოველგვარ საშუალებას გვაძლევს რაციონალურად გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის გაღიძებასთან ერთად, განვავითაროთ მევენახეობა და მებოსტნეობა, უზრუნველყოთ უხვი და მყარი მოსავლის მიღება.

ამ დიდი შესაძლებლობების მიუხედავდ სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რაიონის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ მიწებს. ამის ნათელსაყოფად საქმარისია მოვიყვანოთ შემდგარი მონაცემები (ცხრ. 4).

ცხრილი 4

დასახლება	წ ლ ვ ბ ი				
	1951	1953	1955	1958	1960
შიმიარებულია კოლმეურნეობებზე სულ მიწა ჰექტ.	29029	29184	28945	27100	19567
ა) სახნავი	14182	13830	12222	11049	8812
%	48,6	47,4	42,2	40,8	45,0
ბ) ბაღები, ვენახები და სხვა ნაორგვები	877	859	1214	1460	1383
%	3,0	2,9	4,2	5,4	7,1
გ) ბუნებრივი საობისი	113	99	109	109	120
%	0,4	0,3	0,4	0,4	0,6
დ) გასარეკი საოცერები	2442	2197	3814	3426	2292
%	8,4	7,5	13,2	12,6	11,7
ე) ტყე და ბუჩქნარი	1157	1184	839	795	422
%	4,0	4,0	2,9	2,9	2,1

როგორც ვხედავთ, საკოლმეურნეო მიწათსარებლობაში ჯერ კიდევ არა დამყარებული სრული წესრიგი, ძლიერ უმნიშვნელოდ იზრდება ვენახისა და ხეხილის ბაღები, ძლიერ მერყეობს სახნავი მიწების ფართობი, სუსტი ცურალება ექცევა საკოლმეურნეო ტყეების დაცვისა და გაშენების საქმეს.

თუ როგორი დანიშნულებით არის გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და როგორია მისი ეკონომიკური ეფექტი, ამაზე ნათლად მეტყველებს რაიონის კოლმეურნეობებში ნათესი ფართობების სტრუქტურა, მრავალწლიანი ნარგავების ფართობები და მოსავლიანობა.

1960 წლის მონაცემებით მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებში 8812 ჰა სახნავი მიწებიდან შემოღვიმისა და გაზაფხულის ნათესებით დაკავებული იყო 7021 ჰა, ე. ი. 1791 ჰა სახნავი მიწები გამოყენების გარეშე იქნა დატოვებული. ვენახის ფართობები 1951 წელს ასებულ 363 ჰა-დან გაიზარდა 589 ჰა-მდგ.



ხოლო ხეხილის ბალები შესაბამის პერიოდში 476 ჰა-დან 528 ჰა-დან დაუდი კულტურების სამუალო მოსავლითობა ჰქეერარზე 0.6 უნდა გადასცემი აღემატებოდა. ბოსტნეულისა — 61.9 ცენტრერს, ყურძნისა — ბრიტანული ეკონომიკური და ხილისა — 11.4 ცენტრერს.

ეს მონაცემები თავისითვის მიუთითებს იმაზე, რომ რაიონის კოლმეურ-წეობებში საკიროა რიგი სერიოზული ლონისძიებების გატარება სასოფლო-სამურნეო სახალგულოთა გამოყენების საქმის გაუმჯობესებისა და მოწამოქმედების კულტურის მაღლებისათვის.

როგორც ვ. ი. ლენინ გვასწვლიდა, მიწის საწარმოო მალები არ არის განსაზღვრული, რადგან. როგორც მრეწველობისა და ტექნიკის ცვლილებების შემთხვევაში ყოველგვარი დამატებითი შემობა იძლევა გადილებულ შედეგებს. ისე წარმოების ახალი წესების შემოლებით, მანქანურისა და სასუქების გამოყენებით, მემონცერებობისა და მეცხოველეობის უკეთესი ორგანიზაციის პირობებში მცენარის მოსავალი ტა მეცხოველეობის პროდუქტულობა უფრო ცირულ ინტენსიურ ურთიობაზე, კიდრე დანახარჯები.

გამოდიოდა რა ზემოაღნიშნულ მარქსისტულ-ლენინური დეპულებიდან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შემოქმედებითად განვითარა და გამიიყენა იგი თანამედროვე კონკრეტულ პირობებში. მა თეორიული დებულებიდან გამოიინდა პარტია, როდესაც წყვეტდა საკითხს მძიმე ინდუსტრიის უპირატესიდ ზრდის ბაზაზე სოფლის მეურნეობის შემდგომი ღომავლობის უზრუნველ-საყოფად. რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენურის შემდგომ განვლილ პერიოდში განხორციელდა.

ამ უკანასკნელ წლებში გაწეული დიდი ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად მნიშვნელოვანი მილწევებია მოპოვებული მცხეობის რაიონის სოფლის მეურნეობაში.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ახლა ბევრად უფრო ყინრაონიად და რაციონალურად იყენებენ მიწას და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. რამაც დიდად შეიცავს ხელი სას.-სამ. კულტურების მოსავლითობის მიაღ-ლებას, საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდების, წარმოების ძირითად საშუალებათა ღორებულებისა და განუ-ჭოფელი ფონდების ზრდას. მნიშვნელოვნად გადიდება სას.-სამ. პროდუქტების წარმოების დონე ყოველ 100 ჰა სას.-სამ. სარგებლობის მიწაზე.

ამის საილუსტრაციო შეგვიძლია მოეცივანოთ შემდეგი მაგალითი. თუ 1955 წელს მცხეთის ჩაიონის კოლმეურნეობებში ყოველ 100 ჰა სარგებლობის მიწაზე მიღებულ იქნა რამ 5054 ლიტრი, ხორცი დაკლული წონით — 11.4 ცენტრერი, მატყლი — 108 კგ. ფულადი შემოსავალი — 44887 მანეთი. ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო საჩვებლობის მიწაზე პყავდათ მსხვილეული რეი-ანი პირუტყვი 31 სული, მათ შორის ფური — 7, ცხვარი — 70 სული, 100 ჰა სახნავზე პყავდათ ღორი 18 სული და მიღებულ იქნა ღორის ხორცი 1.7 ცენ-ტრერი და ყოველ 100 ჰა მატყლეულის ნაოსზე 115 ფრთა ფრინველი, მი-


ლებულ იქნა 1086 ცალი კვერცხი. 1960 წლისათვის ეს მდგომარეობა შედეგად ნელვებად გადიდდა.

სიმარისისა აღინიშნოს, რომ 1960 წელს რაიონის კოლმეურენტოზე მდგომარეობა შედეგად 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიწაზე აწმინდებოდა და ლიტრი რე ხორცი — 17.5 კგ. ცალი — 101 კგ. ფარადი შემოსავალი — 61 666 მან.; პყვედათ ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიწაზე მსხვილი რეოსანი 30რუტველი 33 სული; მთ შორის ფური — 11 სული, ცხვარი — 63 სული; ყოველ 100 ჰა სახნავზე პყავდათ ლიტრი 16 სული და მიღებულ იქნა ლორის ხორცი 5.6 კგ. ცალი — 100 ჰა მარცვლელის ნათებზე პყავდათ ფურინელი 123 ფრთა და მიღებულ იქნა 3171 ცალი კვერცხი. კადვა უფრო დიდ წარმატებებს შეაღწის რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა და კაცებლმა კოლმეურენტებმა.

ეს წარმატებები თავისთვის ძეგლების ჩმაზე, თუ რამდენად უმჯობესდება მიწების გამოყენება მცხოვრის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ნიაზაგის, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი საშუალების, გამოყენების გაუმჯობესების მრავალ ლონისძიებათა შორის, აღსანიშნავია ახალი მიწების აოვისების, კაობების დაშრობის. მორწყვის ინტენსიფიკაციის, სპეციალიზაციისა და ვაადგილების. ქარსაფარების, ერთხისის წინააღმდეგ პროცესის, მოსალისნობის გადიდების. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, ნიაზაგების რეკების, აგროტექნიკის. სასუქებისა და სხვა მრავალი საკოთხის სწორი და მოფიქრებული გადაწყვეტა. რასაც ამჟამად განსაკუთრებული ყრადლება უნდა მიექცეო.

ზემოაღნიშნული საკითხების სწორ გადაწყვეტაზე დამოკიდებული მოსახლისანობის ამაღლება, პროდუქტების სიუხვის შექმნა და პრომის ნაყოფების მცველება გადიდება სოფლის მეურნეობაში.

Н. РАМИШВИЛИ

К вопросу рационального использования сельскохозяйственных угодий в Мцхетском районе.

РЕЗЮМЕ

В программе Коммунистической партии Советского Союза, которая единодушно одобрена и утверждена XXII съездом, указано: «Во всех районах страны внедрить, в соответствии с местными условиями и специализацией каждого хозяйства, научно обоснованные системы земледелия и животноводства, обеспечивающие наиболее эффективное использо-

вание земли и экономически выгодное сочетание отраслей, наилучшую структуру посевных площадей, с заменой малоурожайных и малоценных культур высокоурожайными и высокоценными».

В постановлении мартовского (1962 г.) Пленума ЦК КПСС подчеркивается, что «На современном этапе коммунистического строительства партия предъявляет к колхозам и совхозам принципиально новое требование — производить продукты сельского хозяйства по заказам государства, исходя из потребностей народа».

Для выполнения этих задач необходимо правильное использование сельскохозяйственных угодий, улучшение и поднятие производительности земель.

Известно, что земля, как основное средство производства в сельском хозяйстве, является государственной собственностью и передана колхозам в вечное и бесплатное пользование, что способствовало как организации крупных сельскохозяйственных предприятий, так и внедрению и развитию механизации в сельском хозяйстве.

Правильное и рациональное использование земли способствует организационно-хозяйственному укреплению колхозов и поднятию производительности труда.

Обеспечение населения сельскохозяйственными продуктами и промышленности сырьем зависит от правильного использования земли — получения большего количества продукции с каждого 100 га сельскохозяйственных земель.

Природные условия, а в частности, почвы имеют большое значение для правильного размещения культур и получения высоких урожаев. Состав почв и их свойства, вместе с другими условиями, определяют использование их под теми или другими культурами и характер мероприятий для поднятия плодородия почвы.

Почвы Мцхетского района, по данным академика Сабашвили, проф. Талахадзе и др., относятся к коричневым, поливным почвам, характеризуются достаточным плодородием и могут быть использованы под сады, виноградники, зерновые и другие культуры.

После сентябрьского (1953 г.) Пленума в результате проведенной организационной и политической работы в сельском хозяйстве указанного района имеются значительные успехи: колхозы и совхозы района используют землю и сельскохозяйственную технику более рационально, в результате чего повысилась урожайность культур, увеличилось поголовье общественного животноводства, поднялась продуктивность скота, увеличилась стоимость основных средств производства, выросли неделимые фонды; значительно поднялся уровень производства продукции на каждые 100 га сельскохозяйственных земель.



Несмотря на достигнутые достижения, в колхозах и совхозах этого района надо провести целый ряд мероприятий для улучшения использования сельскохозяйственных угодий и поднятия культуры земледелия, как то: освоение новых земель, правильное размещение культур, осушение болот, борьба против эрозии, поднятие уровня механизации и электрификации и другие.

Правильное проведение этих мероприятий будет способствовать поднятию производительности труда, увеличению сельскохозяйственной продукции в колхозах и совхозах указанного района.

გამოყენების ლიტერატურა

- ქ. შარქეთი—კამიტალი. ტ. III. თბილისი, საჩ. ვაკერებულის „საბჭოთა საქართველო”, 1959.
- ვ. ა. ლენინი—შრომი. ტ. V. თბილისი, „საელექტო”, 1949.
- ეკპ პროგრამა (1961 წლი).
- ხ. ხრუ შეთვით—მოძნელება პარტიის XXII კონფენციაზე.
1. ქ. კოცხველი—კულტურულ შეცნარების ზონები საქართველოში. საქართველოს კულტოფლისამდევრო წარმოების გამძლავნა. სეცელიზაცია და სოფლის შეცნებულის გაძლიერების სასტუდია. ტ. I. 1960.
2. გ. საბაშვილი—საქართველოს სსრ ნიადაგების აგროსაწარმოთ დახასიათდა. საც. ტ. I. 1960.
3. С. А. Захаров—О главнейших итогах в основных проблемах изучения почв Грузии. Из-во Тифлис. Гос. Пол. Инст-та, вып. 1, 1924.
4. А. С. Санкиладзе—Почвы Кахетии. Тбилиси, 1940.
5. М. Н. Сабашвили—К вопросу о зональности почв и классификация горнолесных почв Закавказья. Тр. Почв. Ин-та им. В. Б. Докучаева, т. XXVII, 1918.
6. М. Н. Сабашвили—Почвы Грузии. Тбилиси, 1940.
7. М. Н. Сабашвили—Почвы лесостепных районов Грузии. Вопросы генезиса и география почвы. Памятн. Л. Ш. Прасолова, изд. АН СССР, 1957.
8. В. В. Акимцев—Почвенно-географический очерк Агбулатского района. Изд. Тиф. Политехнич. ин-та, вып. 1, 1927.
9. ღ. გვდევანიშვილი. გ. ტალახაძე—ნიადაგისცემულობის კურსი. თბილისი, 1956.
10. ღ. გვდევანიშვილი. გ. ტალახაძე და ვ. ლატარია—შეხერხის სამართლო-ხაცულის შეუძლებელის ნიადაგების აგროსაწარმოთ დასახიათდა. 1950.
11. ა. ანჯაფარიძე—საგერამის ვეფხ ნიადაგები. ქვეპის სახ.-კან. ინსტ.-ის შოთარება, ტ. III 1958.
12. И. П. Герасимов—Коричинные почвы сухих лесов и кустарников лугостепей. Тр. почв. инс-та им. В. В. Докучаева, т. XXX. 1939.
13. И. П. Герасимов—О типах почв горных стран и вертикальной почвенной зональности. Почвоведение, № 11, 1948.
14. В. М. Фридланд—Почвенно-географическое разделение Кавказа. вопросы генезиса и геодезии почв. Памятн. Л. И. Прасолова, изд. АН СССР, 1957.



მეორე წლიული ჯულიან თარიღი, სახარევო და სამსახურის სამსახურის
სამსახურის ინსტიტუტის გამოცემი, ტ. LVII, 1962 წელი
Trudy Gruzinskogo Ordena Tрудового Красного Знамени
Сельскохозяйственного Института, т. LVII, 1962 г.

8. პრაცეზულაშვილი

პურიძე თავდოვანი მცხარებების შესრულება მიუმართ მომართვისათვის საქართველოს განვითარების მინისტრის მიერად გამოყენების თვალსაზრისით

პრაცეზულაშვილი და ხელისუფლება უდიდეს უზრაღებას აქცევენ ჩევის ქვეყნაში მეფეტკრეობის განვითარების საქმეს. ამის დამადასტურებელია პარტიისა და მთავრობის მრავალი რეზოლუცია და დადგენილება. მაგრამ მეფეტკრეობის რაციონალურად წარმართვა-განვითარება შეუძლებელია ისე, თუ არ ვიცით როგორც მთელ რესპუბლიკაში. ისე მის ცალკეულ რაიონში რა სახის და რაოდენობის თაფლოვანი მცენარე არსებობს, გავრცელების არეალი. როგორია მათი ყვავილობის ვადები, ნექტრიანობა, თაფლის გამოსავლიანობა, და მეფეტკრეობის საკვებ ბაზად გამოყენების შესაძლებლობანი. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ტერიტორიის თაფლოვან მცენარეთა შესწავლას. სამწუხარიც ეს საკითხი გერმერობით მოლიანად არა შესწავლილი ჩევნში. ამტომ მიზნად დაივისახეთ ნაწილობრივად შეგვევსო ეს ხარვეზები და მოგვეხდინა გურიის რაიონების თაფლოვანი მცენარეების შესწავლა მეფეტკრეობისათვის საკვებ ბაზად გამოყენების თვალსაზრისით (ინ. ცხრ. 1) და დაგვიჯუფებინა ისინი ყვავილობის ვადების, ნექტრისა და მტკრის მოცემის უნარიანობის მიხედვით.

კურიის რაიონებში ჩევნ მიერ ჩატარებული მრავალი წლის დაკვირვების შედეგად დადგენილ იქნა, რომ აქ გავრცელებული თაფლოვანი ფლორა ყვავილობის ვადების მიხედვით შეიძლება დაყოოთ ოთხ გვუფად—ზამთრის, გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის მცენარეებად. მაგრამ ეს ისე არ უნდა გვიგოთ, თითქოს ამა თუ იმ გვუფში მოქმედული ესა თუ ის მცენარე წლის მხოლოდ მოცემულ ღროში იწყებს და ამთავრებს ყვავილობას, ან მასობრივად ამ ღროს ყვავის. არსებობს ისეთი მცენარეები, რომელთა ყვავილობის პერიოდი ლიდებანს გრძელდება და წლის ერთი ღროიდან გადადის შემდგომში (უნერლუკი თებერვლიდან დაწყებული ივნისის დასასრულამდე ყვავის, ჭინჭრის-დედა კი ამრილის ბოლო რიცხვებიდან ოქტომბრამდე და ა. შ.). მაგალითად, ჩევნულებრივი ხურმა, სალბი, გლედიჩია და სხვ. მაისის ბოლო რიცხვებში დაწყებენ ყვავილობას, მაგრამ მასობრივად ყვავიან ივნისში. მიუხედავად ამი-



ზა, ჩვენ მათ მაინც გაზაფხულის თაფლოვან მცენარეთა ჯგუფს უკავშირდები ვინაიდან ისინი სწორედ ამ დროს იწყებენ ყვავილობას. ამზე მცენარეები თაფლოვანი მცენარეების ოთხ ჯგუფად დაყოფისას საფუძვლად აუღია ყვავილობის დაწყება.

I. ზამთრის თაფლოვანი მცენარეები

ზამთრის თაფლოვანი მცენარეების ჯგუფს მიეკუთვნება: უუნერუკი-თხილი, შავწამალა და ბზა.

განვიხილოთ თოთოველი ცალ-ცალკე.

უუნერუკი ბალახი—*Stellaria media* (L.)

უუნერუკი ეკუთვნის მიხევისებრთა (Garryophyllaceae) ოჯახს. იგი ერთწლანი, იშვიათად ორწლანი მცენარეა.

უუნერუკი საშუალო ნექტრიანობის თაფლოვან მცენარედ ითვლება. იგი ზამთრის ბოლოდან (თებერვლიდან) იწყებს ყვავილობას და ძლიერ უწყობს ხელს ფუტერის ოჯახის ცხვველმოქმედების დაწყებას. ამიტომ მას ფუტერის გამაღვიძებელს უწოდებენ და დანწერეს სებული არიან მისი გავრცელებით. უუნერუკი კარგად უძლებს ყინვებს და ამიტომ იგი ზოგჯერ თოვლის ჟენერაცია ყვავის: ბალახი არა მარტო ადრეული (თებერვლის პირველი რიცხვებიდან), არამედ ყვავილობის მეტად ხანგრძლივი პერიოდით (სექტემბრის პირველ რიცხვებამდე) ხასიათდება. უუნერუკის ყვავილს ძლიერ ეტანება ფუტერი, რომლისგანაც იღებს ნექტარსა და ჭეოს.

თხილი—*Corulus*

თხილი ეკუთვნის თხილისებრთა (Corylaceae) ოჯახს. იგი ზოგჯერ საყმაოდ მოზრდილი ხე ან ბუჩქია. მომუქო რუხი ქერქით შემოსილი.

თხილი გურიაში ფართოდა გავრცელებული. იგი ყვავილობს თებერვლის პირველ რიცხვებიდან პრილის ბოლომდე და უხვად იძლევა ჭეოს.

შავწამალა—*Seropularia nodosa* L.

შავწამალა შავწამალასებრთა (Seropulariaceae) ოჯახს განეკუთვნება. გურიაში მას ძინვეორტას. ქურჩუმელასა და სხვ. უწოდებენ. შავწამალას ახასიათებს 50 სმ სიმაღლის, სწორმდგომი, ნაკლებად დატოტვილი ლერო, რომელიც შებუსულია ან სავსებით შიშეველი.

გურიაში შავწამალა თითქმის ყველგანაა გავრცელებული. იგი უმთავრესად ხარობს მთის ჭვედა ზონაში და ეკუთვნის სარეველა ბალახთა ჯგუფს.

შავწამალა თაფლოვანი მცენარეა, იძლევა მცირე რაოდენობის ნექტარს. იგი ყვავის თებერვლის პირველ რიცხვებიდან პრილის ბოლომდე.



ბზა—*Buxus colchica* P.

ბზა კუუთვნის ბზისებრთა (Buxaceae) ოჯახს. იგი ბუჩქის მდგრადი ფორმის მცენარეა. გავრცელებულია კურის ყველა ტყეში. ფუტკარი ძლიერ ეტანება. ბზა ყვავილობს თებერვლის პირველ რიცხვებიდან მარტის ბოლომდე.

II. განაცხადის თაფლოვანი მცენარეები

გაზაფხულის თაფლოვანი მცენარეების ჯგუფს ეკუთვნის: ტყემალი, ალებალი, მხალი, ბალამწარი (შავბალი), ვაშლი, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ხურმა ჩვეულებრივი, იული, მქერი, ჩევრელი, წყავი, ავაცია, მოცევი, წიოვლი სამყურა, თეთრი სამყურა, სალბი, ჭინჭრისფერა, ოშოშა, მაყვალი და სხვ.

ტყემალი—*Prunus divaricata* Ldb.

ტყემალი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახს განეკუთვნება. იგი გვხვდება ხის ან ბუჩქის სახით და ალებულია ეკლებაზი კლორტებით.

ტყემალი უხვერქტრიანი თაფლოვანი მცენარეა. ტყემალი ზღვის დონ-დან 2000 მეტრის სიმაღლემდე ვრცელდება და მიტომ გურიის მთების ტყეებში დიდი რაოდენობით გვხვდება. ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე ბარშიც, საკოლმეურნეო და საკარმილამო ნაკვეთებში. ტყემალი სხვადასხვა აღგილის სხედასხვა დროს ყვაის (ბარში — აღრე, მთეში — გვიან). მიტომ მისი ყვავილობის პერიოდი მარტის მეორე ნახევრიდან პრილის ბოლომდე და ზოგჯერ უფრო მეტხანსაც გრძელდება და საკმაო რაოდენობის ნექტარს იძლევა.

ალუბალი—*Cerasus vulgaris* Mill.

ალუბალი კუუთვნის ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახს. მის საშიობლოდ მცირე ჰითა თველიან. ჩვენში ალუბალი უმეტესად ველოვნურადა გაშენებული, თუმცა გვხვდება ველური სახითაც.

ალუბალი ყვავილობას იწყებს პირველ რიცხვებიდან და აღვალ-მდებარეობის შესაბამისად. აგრძელებს მასის ბოლომდე. მისი ყვავილი საშუალო ნექტრიანია. ფუტკარი კარგად ეტანება. იძლევა აგრეთვე მტვერსა და დინდებილს. ალუბალი გურიიში საქმაოდაა გავრცელებული. იგი კარგად უძლებს ყინვებს და თოვქმის ყველა ნიადაგზე ხარობს. გურიაში ალუბალი ზოგ აღვალის ბალების სახითაც არის გაშენებული. იგი უველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება ლანჩხუთისა და მათხრის რაიონებში.



შხალი—*Pyrus* sp. diversit.

მსხალი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის წევრია. იგი უმატავი მცენარეა. გვხვდება ხის ან ბუჩქებს სახლო, ხშირად კულებს ივითარებს.

გურიაში მას დიდი ფართობი უჭირავს. აյ მსხლის მრავალ გიშს ვხვდებით.

კურიაში ბევრია ვარეული მსხალიც. იგი უფრო ვარეულებულია ტყის დაბლობ ზონაში. მსხალი ყვავის აპრილის პირველ რიცხვებიდან მაისის ბოლომდე, ზოგიერთი ჭიში კი ივნისშიაც. საერთოდ, ყვავილობის პერიოდი დამოკიდებულია ჭიშსა და დღიულმდებარეობაზე. მცენარის უვავილობა 10—12 დღეს გრძელდება. მსხალი საშუალო ნექტრიანობის თაფლოვანი მცენარეა და იძლევა ნექტარსა და მტვერს.

ბალამწარა (შავბალა)—*Cerasus silvestris* Garsault.

ბალამწარა (შავბალა) უხვი თაფლოვანი მცენარეა. იგი დიდი რაოდენობით იძლევა ნექტარს, მტვერსა და დინდებულს. ამიტომ ფერები მას ძლიერ ეტანება. ბალამწარა ისეთ ლროს იწყებს ყვავილობას, რომ მისგან მიღებული თაფლი თოვქმის მოლიანად ჩმარდება ბარტყის აღზრდას.

ბალამწარა ყვავის აპრილის მეორე ნახევრიდან მაისის ბოლომდე, ზოგიერ უფრო გვიანობამდე, თუმცა მისი ზოგიერთი სააღრეო ჭიში მარტის ბოლოს ყვავის. გურიაში ბალამწარა ფართოდაა ვარეულებული. უმთავრესად მას ვხვდებით საკარმილამ ნაკვეთებზე, აგრეთვე საძოვრებზე, გზის ნაპირებზე, მიწვრებზე, ტყის მახლობლად და ზოგჯერ ტყეშიაც კი.

ვაშლი—*Malus domestica* Borkh.

ვაშლი ვეულვის ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის. იგი იზრდება ხეებად ან ბუჩქებად. ზოგიერთი ჭიში კულებსაც ივითარებს. ვაშლის ყვავილები მსხალთან შედარებით უფრო უხვად იძლევა ნექტარსა და მტვერს. იგი ამ მხრივ სხვა ხეხილოვან-თაფლოვან მცენარეთა შორის პირველ ადგილს იკავებს. დადგრენილია. რომ ვაშლის თოთოვული ყვავილი საშუალოდ გამოყოფს 0.25 მგ მცენარს.

ვაშლის სხვადასხვა ჭიში თაფლის სხვადასხვა რაოდენობას იძლევა. ასე, მაგალითად, საგვიანო ჭიში (მსხვილყვავილებიანი) გაცილებით მეტ თაფლს იძლევა, კოდრე სააღრეო (წერილყვავილებიანი).

თაფლის გამოსავლიანობის მხრივ უმირატესობა ლებირა ვაშლს ეკუთვნის. მას ხანგრძლივი და თანდათანობითი ყვავილობის პერიოდი ასაითებს. ვაშლი ყვავილობას იწყებს აპრილის პირველ ნახევრიდან მაისის ბოლომდე.



კურის რაიონებში ვაშლი საქმია რაოდენბითა გავრცელებულია. ამ პერიოდი როგორც საკარისიამო ნაკვეთებში, ისე დაბლობ ტყის გარეთ რაოდენობითა გურიაში ვაშლის ბალები, ამის გამო მისგან შეფერებულია საქონლო თაფლსაც კი იღებენ.

ქლიავთ — *Prunus domestica* L.

ქლიავთ ვარდისებრთა (*Rosaceae*) ოჯახის წევრია. იგი ეკლიანი ან ტეკლო ხეა, იზრდება 10—12 მ-ის სიმაღლის. უვავის აპრილის დასწუბისიან და ზოგჯერ უნისის პირველ რიცხვებამდე. ქლიავთ მცირენექტრიანი თაფლოვანი მცენარეა. იძლევა მზევრსაც. გურიაში ქლიავთ ფაროვლად გავრცელებულია. ეჭ მისი მრავალი სახეა ცნობილი და უმოავტისაღ გაშენებულია ბალების სახით.

ნანდარაზ — *Citrus nobilis* Lour.

მანდარინი ეკუთვნის ტეგანისებრთა (*Rutaceae*) ოჯახს. იგი იზრდება ტერი ზომის ხედ. უხევ თაფლოვანი მცენარეა. იძლევა ნექტარსა და მრცველს. შისი უვავილობა იწყება აპრილის პირველ რიცხვებიდან და ვრცელდება მაისის პირველი ნახევრის შემდეგაც. მისგან მიღებული თაფლი პირველხარისხებაზად და არომატული.

გურიაში მანდარინის კულტურას არცო დიდი ხნის ისტორია აქვს. მის მიერ დაყვებული ფართობი წლითი-წლობით მატულობს. გურიაში მანდარინი ჩაის შემდეგ სხვა კულტურულ თაფლოვან მცენარეებთან შედარებით. უკელა-ზე მეტ ფართობზეა გაშენებული.

მახარაძის რაიონში შეა ბახვის კ. მარქსის სახ. კოლმეურნეობის საფერა-რის საკონტროლო სკის მონაცემებით. მანდარინის სრული უვავილობის პერი-ოდიში თაფლის გამოსავლიანობის მაქსიმუმი უდრიდა 1.7—2 კგ. ჩოხატაურის რაიონის მირგანახლების ლენინის სახ. კოლმეურნეობის საფუტკრეში კი 1.5—1.7 კგ-ს.

ფორთოხალა — *Citrus sinensis* Osbeck.

ფორთოხალი ტეგანისებრთა (*Rutaceae*) ოჯახს ეკუთვნის. იგი ჩევრის პი-რიცხვებში 4—6 მ-ის სიმაღლის ხედ იზრდება.

ფორთოხალი უხევნექტრიანი თაფლოვანი მცენარეა. მის უვავილს ძლიერ ეტანება (განსაკუთრებით შეადლისას) ფუტკარი და იღებს როგორც ნექტრის. ისე მტვერს. ფორთოხალის უვავილობა იწყება აპრილის ბოლო რიც-ხვებიდან და გრძელდება ივნისის პირველ ნახევრამდე.



ლიმონი ექვთინის ტეგანისებრთა (Rutaceae) ოჯახს. გერმანული და ინგლისური სახელი ხეა. კურიაში ლიმონი, სხვა ციტრუსოვან კულტურებთან ერთად, საქაოდ დიდ ფართობზეა გაშენებული, თუმცა ამ მხრიց მნიშვნელოვან ჩამორჩება მანდარინს.

მანდარინისა და ფორთოხლის მსგავსად, ლიმონიც უხვი ნექტრიანობის თაფლვანი მცენარეა. იგი ყვავილობას იწყებს აპრილის ბოლო ჩიტევებიდან და გრძელდება მაისის ბოლომდე.

ხურმა ჩვეულებრივი—*Diospyros lotus* L.

ხურმა ეკუთხის აბანოუსებრთა (Ebenaceae) ოჯახს. ხურმა გურიაში საქაოდ დიდ ფართობზეა გავრცელებული. იგი ცნობილია. როგორც უხვი თაფლის მომცემი მცენარე. ჩვეულებრივი ხურმა ყვავილობას იწყებს მაისის ბოლო ჩიტევებიდან და გრძელდება ივნისის პირველ რიცხვებშიც. ფუტკარი ხურმის ყვავილს ძალზე ეტანება და მასზე წვევას გვიან საღამომდე განაგრძობს. სეთი ფატების მოწმე ვიყავით ჩვენც. როცა ლამით მიერგზიავრებოდით მახარაძის რაიონის სოფ. ვაკევრის კოლმეტურნეობაში: ლამის 12 საათზე გზის მახლობლად შემოვედეს ცეტკრის ბზურილი. ვიფაქტეთ. რომ წავდწყით ფუტკარის ნაყარს. ადგილზე დათვალიერებისას (მთვარიანი ლამე იყო) აღმოჩნდა, რომ ხურმაზე შესეული იყო უამრავი ფუტკარი და. თითქოს. განაგრძობდა მასზე მუშაობას. ჩვენი დაკვირვების პერიოდში ლანჩხუთის რაიონის კოლმეტურნეობაში დღისით. ძლიერ წვემიან ამინდშიც კი ფუტკარები ხურმის ყვავალზე გაძლიერებით მუშაობდნენ. ასაჩიშნავია. რომ ფუტკარის სეთი ენერვიული მუშაობის სურათი არც ერთ სხვა თაფლვან მცენარეზე არ შეგვიმჩნევა. ყვაველივე ეს იმის დამადასტურებელია. რომ ხურმის ყვავილი თავისი უხვი ნექტრით დიდად იზიდავს ფუტკარს.

ფელი—*Rhododendron flavum* Don.

იულა ეკუთხის შექრისებრთა (Ericaceae) ოჯახს. იგი იპტება ბუჩქიად, ზოგჯერ 6—9 მ-ის სიმაღლის ხეებადაც გვხვდება.

გურიაში იული დიდ ფართობზეა გავრცელებული. გვხვდება როგორც ტყის მცენარე და იმდენადაც განვითარებული. რომ ხშირად გაუვალ დაგვალებსაც ქმნის. მას ვხვდებით აგრეთვე ზოგიერთი გზის გასწვრივ და უვარვის ქვაჭევიშნარ ნიაღავებზე.

იული უხვენეტრიანი თაფლვანი მცენარეა. ფუტკარი მას ძლიერ ეტანება, მაგრამ მისი ნექტარი შემიანია. უფრო სწორად — მათრობელი. ეს ფაქტი ამეამად გურიის ყველა მეფუტკარისათვის ცნობილია და ამიტომ იყლის თაფლიდან ხშირად არას ხდიან. იული ყვავის აპრილის შუა რიცხვებიდან მაისამდე.



შქერი—*Rhododendron ponticum* L.

შქერი კუთხოის მანასებრთა (Ericaceae) ოჯახს. იგი იზრდება და გრძელობიან ბუჩქად. იშვიათად კი ხეებად. მისი სიმაღლე 1 — 1,5 მ-დე აღწევს.

შქერი გურიის ტყეებში ფართოდა გავრცელებული. აյ თითქმის ვერ ჩახავთ ისეთ ტყეს, სადაც იგი დიდი რაოდენობით არ იყოს. შქერი კარგი თაფლოვანი მცენარეა და უხვად იძლევა ნექტარს. ყვავილობას იწყებს პარილის პირველ რიცხვებიდან და გრძელდება მაისის ბოლომდე (ზოგჯერ, ივნისის პირველ რიცხვებამდეც). მას ფუტკარი ძლიერ ეტანება. შქერს ახასიათებს თანდათანობითი ყვავილობა.

შქერი გურიაში ცნობილია როგორც მთავარი ლალიანობის მომცემი თაფლოვანი მცენარე. ამიტომ მეფუტკრები წინასწარ ემზადებიან შქერის ყვავილობან ლალის მისაღებად. შქერის სრული ყვავილობის დროს მახარაძის რაიონის სოფ. შუა ბახვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის საფუტკრის ხაჭონტროლო სკაზ დლეში 4,0 — 4,1 კგ თაფლის მატება გვიჩვენა.

ხეჭრელი—*Rhamnus frangula* L.

ხეჭრელი კუთვის ხეჭრელისებრთა (*Rhamnaceae*) ოჯახს.

გურიაში ხეჭრელი დიდი რაოდენობით მოიპოვება. აյ იგი ძირითადად ტყეებში იზრდება, სწორტანოვანი ბუჩქის ან ხის სახით. რომლის სიმაღლე 4 — 6 მ-დე აღწევს.

ხეჭრელი წარმოადგენს საუკეთესო თაფლოვან მცენარეს. ის უხვად იძლევა ნექტარსა და მტვერს. ყვავის მაისის პირველ რიცხვებიდან ხეჭრელის დასაწყისამდე, ე. ი. მისი ყვავილობა დაახლოებით ოთხ თვეს გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ფუტკარი მასზე შეუწელებელი ინტენსივობით მუშაობს.

წყავი—*Louroeerasus officinalis* Roem.

წყავი კუთხოის ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახს. იგი იზრდება ბუჩქად ან საქმაოდ მოზრდილ ხედ, რომლის სიმაღლე 8 მ-ს აღწევს. დიამეტრი კი 0,5 მ-ს. გურიაში წყავი დიდი ფართობი უჭირის და უმთავრესად ტყეებშია გავრცელებული.

წყავი უხვი თაფლოვანი მცენარეა. წყავი ყვავის აპრილის ღასტაფისიდან მაისის შუა რიცხვებამდე, ყვავილობა მიმდინარეობს თანდათანობით — წყავის ერთი და იგივე გიშიც კი სხვადასხვა პიპსომეტრულ დონეზე სხვადასხვა დროს იწყებს ყვავილობას, რაშაც გარევეულ როლს თამაშობს ექსპოზიცია. ანუ პირიზონტის მდებარეობა, განათება, ნიადაგის ფიზიურ-ქიმიური თვისებები და სხვა პირობები.

გურიაში მეფუტკრები ცდილობენ წყავის ყვავილობის პერიოდში საფუტკრე მის ახლოს მოაწყონ. მახარაძის რაიონის სოფ. შუა ბახვის კ. მარქსის



საფულობის კოლეგიურნეობის საფურტირის საკონტროლო სკამ წესვის მიერ
ჯავალობის ღრის დღის განმავლობაში 4.2—5.5 კგ თაფლის მატერიალის შედები
ბიბლიოგრაფია

ეყაცია—*Acacia*

ეყაცია მიმოსისებრთა (*Mimosaaceae*)-ს ოჯახის წევრია. მისი სიმაღლე ზოგ
დღე 30—35 მეტრის დაწევს.

ეყაცია გურიაში დიდი რაოდენობით მოიპოვება. იგი აქ გვხვდება ჩოგორუ
ტუბების, ისე ცალკეული ხეების სახით.

ეყაცია უნივერსალური მცენარეა. ყვავის მასისი პირველ რიცხვებიდან
მისი ბოლომდე, მისი თაფლი მაღალი ხარისხისაა. ეყაციის ყვავილზე ფეტ-
კორ მოელი დღი განცემულია მუშაობს და მისგან ბევრ ნექტარსაც იღებს.
ცნობილია ისეთი შემთხვევა, როდესაც ეყაციის ყვავილიდან ფუტკრის ერთმა
უკახმა დღის განმავლობაში 6—7 კგ თაფლი შეაგროვა.

შოცია—*Vaccinium myrtillus* L.

შოცია ეკუთვნის შენიანებრთა (*Ericaceae*) ოჯახს. იზრდება ბუჩქად.
იგი კავკაციული როგორც მთვის, ისე ბაზობი.

შოცია საშუალო თაფლოვანი მცენარეა. იგი გურიაში კარგად ხარობს,
უმოკრესად გავრცელებულია ტყეებში. ყვავის აპრილის ბოლო რიცხვებიდან
ფრინის პირველ რიცხვებამდე.

წითელი ხამურა—*Trifolium pratense* L.

წითელი ხამურა აუკანის პარკოსანთა (*Papilionaceae*) ოჯახს. იგი
შროვალწლოვანი მცენარეა და ცხოველისაოვის საუკეთესო საკეებ ბალახს წარ-
მოადგენს.

გურიაში წითელი სამყურა გაურცელებულია გარეული სახით და იოვლება
სიშუალო თაფლოვანი მცენარედ. იგი გვხვდება მდელოებზე, მინდვრებზე, სა-
თობებსა და ბუჩქნარებში. საქმაოდა, ვგრეთვე გზების გასწვრივ, მთაგორიან
უტყეო ადგილებში, ბალებში. საკარმილამო ნაკვეთებსა და სხვ.

წითელი ხამურა შედარებით მეტი რაოდენობით გვხვდება ლანჩხუთისა
და შახიაშის რაიონებში. წევრი დაკვირვებით დადგენილ იქნა. რომ ფუტკარი
მის ყვავილს ეტანება და მასზე დიღხანს ჩეხება გვალვიან ამინდში, მასთან
მაშინაც კი, როდესაც ყვავილი ოდნავ შემჭერია. წითელი სამყურა ყვავის
მასის შეუ რიცხვებიდან ავისტოს ბოლომდე, ზოგჯერ კი სექტემბრამდეც.

თეთრი ხამურა—*Trifolium repens* L.

თეთრი ხამურა ეკუთვნის პარკოსანთა (*Papilionaceae*) ოჯახს. მისი სი-
მაღლე 7—20 სმ უდირის.

გურიაში მას ხშირად ვხვდებით მინდვრებზე. ტყისა და გზის პირებზე,
მდელოებზე, თავისუფალ ადგილებზე, ბუჩქის ძირებში, სათობებზე და საერთოდ,



როგორც ბაზი, ისე მთაში. აქ იგი ისე მასობრივიდაა გავრცელებული ხელოვნურ ნათესებს მოვაკონებს. თეთრი სამყურა ყინვისა და მწირმარცვლები გი ამტანია. გურიაში თეთრი სამყურა ყველაზე მეტად გავრცელების მიზანია ჩინუთის რაომში.

თეთრი სამყურა უხევი თაფლოვანი მცენარეა. ამის გამო ფუტკრები ძლიერ ეტანებიან და დილიდან საღამომდე ხალისიანად მუშაობენ მასზე.

თეთრი სამყურას ყვავილობა მაისის პირველ რიცხვებიდან იწყება და ვრძელდება ვევისტოს ბოლომდე. ფუტკარი მისგან იღებს ნექტარს და დინგვლს.

სალბი—*Salvia*

სალბი ეკუთვნის ტუჩისანთა (Labiatae) ოჯახს. მას იმერეთში შეღამისაჲ ეძახიან, რაჭაში კი ხიას.

სალბი გურიაში ფართოდა გავრცელებული გარეული მცენარის სხვათ. იგი უმთავრესად გვევლება საყარმიდამო ნაკვეთებზე, ღობის ძირებში, ბორტანისა და ტყის პირებზე. ეგზუბა ცველა ტიპის ნიადაგს და ამიტომ ქვიან აღრიცხვებშიც კარგად იზრდება.

სალბი წარმოადგენს უხვ თაფლოვან მცენარეს. იგი ყვავის მიისის დამატებულიდან სექტემბრის დასაწყისმდე, ზოგჯერ სექტემბრის ბოლომდეც კი უადრილევა კარგი ღიასების თაფლს. სალბის ყვავილები ყვავიან მორიგეობით. მას იმდენად დიდი ყვავილი აქვს, რომ ფუტკარი მასზე მუშაობისას თითქმის არ ჩას, უვავილი ყვითელი ფერისაა.

ჯინჭრისდედა—*Lamium album* L.

ჯინჭრისდედა ესუბუნის ტუჩისანთა (Labiatae) ოჯახს. მას იმერეთში ეძახიან ჯინჭრუკას, ქუჩჩებელასა და სხვ.

გურიაში ჯინჭრისდედა მნიშვნელოვნადაა გავრცელებული და ვარედებული ცველანარი ნიადაგზე, უმთავრესად კი დასარევლიანებულ ნაკვეთებზე და ბუჩქისრებში.

ჯინჭრისდედა უხევი თაფლოვანი მცენარეა. ფუტკარი მას ძლიერ ეტანება, ხასიათდება მეტად ხანგრძლივი ყვავილობის პერიოდით (აპრილის ბოლო რიცხვებიდან ივნისის ბოლო რიცხვებამდე), რაც ყვავილების სხვადასხვა დროს გამოსვლითაა გამოწვეული.

ეშოშა—*Glechoma hederacea* L.

ოშოშა ტუჩისანთა (Labiatae) ოჯახის წარმომადგენელია.

გურიაში ოშოშა გავრცელებულია ტყის პირებზე. ბუჩქებს უორის, ფუტკაბზე. დაბლობებში, ჭაობიან მიღამოებსა და ყველგან, საღაც კი თავისუ-

ფალი ადგილებია. ოშობა საშუალო თაფლოვანი მცენარეა, ფუტარი მდგრად ყველს კარგად ეტანება და მასზე დაახლოებით 20 — 30 წუთს მუშაობის დრუჟულების უვაის მაისის პირველ რიცხვებიდან აგვისტოს ბოლომდე. ჩვენი ჯულიუსში უვაის მცენარეს ფუტარი უველანებ მეტად დღის პირველ ნახევარში (8 — 11 საათიდე) და საღამოთი თუ ეწვევა.

შავვალი—*Rubus*

შავვალი ეკუთვნის ერთდისებრთა (*Rosaceae*) ოჯახს და წარმოადგენს ბუჩქს.

გურიაში შავვალი (ბარდმაყვალი) ფართოდაა გავრცელებული. იგი იზრდება როგორც მთაში, ისე ბარში, ტყის პირებზე, მდინარეების ნაპირებსა და სხვა ადგილებში. მაყვალი საშუალო თაფლოვანი მცენარეა. იგი იძლევა ნექტარსა და მტევრს. ყვავილობს დიღხანს (მაისის მეორე ნახევრიდან ოქტომბრის პირველ ნახევრამდე).

* * *

როგორც ვხედავთ, გურიის თაფლოვანი ფლორის გაზაფხულის ჭავჭა 21-მდე სხვადასხვა სახის მცენარეს მოიცავს. ამ პერიოდში თაფლოვან მცენარეთა მასობრივი ყვავილობაა. მიმღებ ეს ჭავჭა მეფუტკრებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია და ლირსშესანიშნავი. ამ პერიოდში ხდება სასაქონლო თაფლის მიღება.

საყონტროლო სკაზე დაკირცებამ გვიჩვენა, რომ ზემოთ დასახელებული გაზაფხულის წამყვანი თაფლოვანი მცენარეების მასობრივი ყვავილობის პერიოდში სკას წონის ყოველდღიური მატება საშუალოდ 4,3 კგ-ს უდრიდა. ამის გარდა, ამ პერიოდში წარმოებს სუსტი და საშუალო ობიექტის გაძლიერება.

აღსანიშნივათ, რომ გაზაფხულის თაფლოვანი მცენარეები გურიაში საქმიანდ დიდ ფართობს მოიცავს და საფუტკრების სწორად განლაგებისა და სათანადო მომზადების პირობებში, შესაძლებელია მნიშვნელოვანი რაოდენობის სასაქონლო თაფლის მიღება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეფუტკრებ სწორედ ამ პერიოდში მიღებული თაფლიდან უნდა შეინახოს მარაგის სახით ფუტკრის საზამთრო საკვები.

III. ზაზულის თაფლოვანი მცენარეები

ზაზულის თაფლოვან მცენარეების ჭავჭა მიეკუთვნება: ტუნგი, გლო-დიჩია, წაბლი, ძიძო, იაპონური ხურმა და ცაცვი.

ტუნგი—*Aleurites*

ტუნგი ეკუთვნის რძიანასებრთა (*Euphorbiaceae*) ოჯახს. იზრდება მესამე სიციდის ხედ (9 — 15 მ-მდე).

გურიაში ტუნგი ფართოდაა გავრცელებული. იგი უნდა თაფლოვანი მცენარეა. ყვავის აპილის გასულიდან ივნისის პირველ რიცხვებმდე. ყვავილის

გაშლამდე მისგან ფუტკარი იღებს დინდგვლს. შემდეგ ნექტარს და მიმდებარების მიუნახლების ლენინის სახ. კოლმეურნეობის საფუტკარის ჟირაცვალული სკაში. ტუნგის სრული ყვავილობის პერიოდში თაფლის გრეჩზიარიტუს მაქსიმუმი 4.6 კგ-ს უდრიდა, ხოლო მახარაძის რაიონის სოფ. შეა ბაზეის კ. მარქსის სახ. საფუტკარის საკონტროლო სკაში — 4.7 — 4.9 კგ-ს.

გლედიჩია—*Gleditschia triacanthos* L.

გლედიჩია ეკუთვნის ცეზალპინისებრთა (*Cesalpiniaceae*) ოჯახს. იზრდება მაღალ ხედ. ტოტებზე და ტანზე (ძეტალებ კვედა მხარეზე) იკითარებს ძლიერ გრძელ ყლებს.

გურიაში გლედიჩია მცირე რაოდენობითა გავრცელებული. იგი აქ გვხვდება როგორც გზის კილებზე. ისე მინდვრებზე, ბალება და სხვაგან, ტუეში ნაკლებადაა.

გლედიჩიას ყვავილი უხვ ნექტარს გამოყოფს და ამიტომ მას თაფლის სუნი სდის. ძლიერ იზრდას ფუტკარს. გლედიჩია ყვავის მაისის შეა რიცხვებიდან ივნისის პირველ რიცხვებამდე. გლედიჩიას ყვავილობის დროს ფუტკარი სხვა თაფლოვან მცენარეთა ყვავილს ტოვებს და დილიდან საღმიმდე მასზე დიდი ინტენსივობით მუშაობს. მის ყვავილს ძლიერი სიცხისა და წიგნის ღროსაც არ შორდება, რაშიც საკუთარი დაკიტებით დაგრძეშვნდით.

გლედიჩიის თაფლის გამოსახლიანობის საუკეთესო მაჩვენებლები მივიღეთ ჩოხატაურის რაიონის სოფელ მირგანახლების ლენინის სახ. კოლმეურნეობის საუკეტკრეში. გლედიჩიის სრული ყვავილობის პერიოდში დღეში 3.2 — 2.5 კგ თაფლის მატება აღინიშნა.

წაბლი—*Castanea*

წაბლი წიფლისებრთა (*Fagaceae*) ოჯახის წარმომაზაგნეობია და იშპ. დება ხედ. წაბლი ყვავის მაისის შეა რიცხვებიდან ივნისის დასასრულამდე. იგი უხვი ნექტრისა და მტერის მომცემი მცენარეა.

გურიაში წაბლის გავრცელების არეალი დიდია. იგი გვხვდება როგორც საკოლმეურნეო ტყეებში, ისე საკურმილამო ნაკეთებზე და სხვ. მახარაძის რაიონის სოფ. შეა ბაზეის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის საფუტკარის საკონტროლო სკამ წაბლის სრული ყვავილობის პერიოდში, დღის განმავლობაში 3 — 3.1 კგ თაფლის მატება გვიჩვენა.

ძძო—*Melilotus*

ძძო ეკუთვნის პარკოსანთა (*Papilionaceae*) ოჯახს.

საქართველოში ძძო თითქმის ყველაგან გვხვდება, გურიაში კი უმთავრესად ლანჩჩეთის რაიონის დაბლობშია გავრცელებული. კერძოდ, მდინარე ფინტის გამოღმა ძძოს დაბლობით 60 ჰა ფართობი უჭირავს.



მიძი მდელოს თაფლოვან ბალახა-მუნარეთა შორის პირველი მუნარე მცენარედ ითვლება. მისი ყვავილები დიდი როლებით შეიცავს მუნარეზე განვითარების პერიოდში მიმზიდველი სურით ხასიათდება. პირველი მასზე დილიდან საღამომდე დიდი ინტენსივობით მუშაობს. საყურადღებოა ისიც, რომ ამ მცენარეს ყვავილობის შეტად ხანგრძლივი პერიოდი ხასიათებს (ივნისის პირველ რიცხვებიდან სექტემბრის ბოლომდე). ზოგჯერ ნოემბერშიც კი ყვავის.

მიძი თორმების ყვავლა სახის ნიადაგშე ხარობს, მაგრამ იგი უმოვრესად ვითარდება ხირხატ. თიხნარ და ჟერმან ნიადაგებზე, მიძი უმოვრესად ვავრ-ცილებულია მინდვრებზე, დასარეველიანებულ ადგილებში. მდელოებზე, ხია-მებში, გზის პირებზე, ღობების ახლოს და სხვ.

სუბტროპიკული ზურმა—*Diospyros kaki*

სუბტროპიკული ზურმა (*Ebenaceae*) გურიაში კარგად ხარობს. იგი აქ მანდარინთან შედარებით მცირე ფართობზეა გაშევნებული. უხვად იძლევა წერტარს, ამიტომ ფუტკარი მის ყვავილს ძლიერ ეტანება.

სუბტროპიკული ზურმა ყვავილობას იწყებს ივნისის პირველ რიცხვებისად და გრძელდება ივლისის პირველ რიცხვებიმდე. დაკვირვებამ ვიზვენ, რომ ფუტკარი სუბტროპიკული ზურმის ყვავილშე უფრო შეტად საღამოობით მე-შაობს.

ცაცვი—*Tilia*

ცაცვი ეუროპის ცაცვისებრთა (*Tiliaceae*) ოჯახს. იგი პირველხაის-ხოვანი თაფლოვანი მცენარეა.

ფუტკარი ცაცვის ყვავილიდან, ვარდა წერტარისა, იღებს მტვერსაც ცაცვი ყვავის ივნისის პირველ რიცხვებიდან ივლისის დასაწყისამდე.

გურიაში ცაცვი არცო ისე ცოტა რაოდენობით მოიპოვება, მაგრამ ყვა-ლაზე მეტად იგი მახაჩადისა და ჩიხატაურის რაიონების სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტუებშია გავრცელებული. ერთეულების სახით მას ვაკედებით აგრეთვე საკარმილო ნაკვეთებზეც. ცაცვი გურიის მიდამოებში უხვად ვა-მოყოფს წერტარს. მაგალითად, სოფ. ბახეის კ. მარქსის სახელობის კოლმეურ-ნების საფუტკრები დაღმულმა საკონტროლო სკამ ცაცვის სრული ყვავი-ლობის პერიოდში დღის ვანიავლობაში ვეიზვენა 4,05—4,35 კგ თაფლის მა-ტება.

* * *

ზაფხულის თაფლოვანი მცენარების რიცხვი გაზაფხულის თაფლოვანების შედარებით მცირეა. დაბალია აგრეთვე მათი პროდუქტიულობაც, ამიტომ გურიაში ივნისიდან ივლისის ბოლომდე ღალიანობა თანდათანობით კლებუ-ლობს და აგვისტოს ბოლოს იმდენად ეცემა, რომ ფუტკარის ოჯახები ჰაფლის საზიანო მარაგის ხარჯვასაც კი იწყებენ.

ზაფხულის თაფლოვანებიდან ფუტკარი ღალიანობით ხასიათდება ცაცვი-წაბლი, იპონური სურმა და ძიძო.



მართალია, გურიის რაიონებში სხვადასხვა კულტურული მცენარეების გავრცელების გამო ცაცხელის რაოდენობა კლებულობს. მაგრამ მცენარეების მატულობს იაპონიური ხურმის ფართობი, თუმცა იგი ჭერჭერობის ჩვეულების დანაკვეთის. ამიტომ საჭიროა ზაფხულის თაფლოვის ფულორის შენარჩუნება-გადიღება, ვინაიდან იგი გარეველ დადებით როლს თამაშობს მეცუტერეობის განვითარების საქმეში.

IV. შემოდგომის თაფლოვანი მცენარეები

შემოდგომის თაფლოვანი მცენარეების ჯგუფს ეკუთვნის კოლხური სურო და ჩაი.

კოლხური სურო—*Hedera colchica caucasigena* P.

სურო ეკუთვნის არალიასებრთა (Araliaceae) ოჯახს. იგი მცირე თაფლოვანი მცენარეა და იზრდება უმთავრესად დაჩრდილულ ადგილებში. ტყეებში მას ხშირად ვეგდებით სხვადასხვა სახეობის ხეებზე. განსაკუთრებით კი მურყაძეზე. ყვავილობას იწყებს სექტემბრის პირველ რიცვებიდან და გრძელდება ოქტომბრის მეორე ნახევარშიც, იძლევა ნექტარს და ჭირს.

მიუხედავად სუროს მცირე ნექტრისობისა, ფუტკარი მას ინტენსიურად გრანება.

ჩაი—*Thea sinensis* L.

ჩაის ბუჩქი ეკუთვნის ჩაისებრთა (Theaceae) ოჯახს. მისი სიმაღლე 1—2 მ-ს აღწევს. ჩაის პლატაურები განსაკუთრებით დიდ ფართობებზეა გაშენებული გვრიაში. ჩაის მცენარე ყვავილობას იწყებს ოქტომბრის შუა რიცვებიდან და გრძელდება დეკემბრის ბოლომდე. ჩაი უხვი თაფლოვანი მცენარეა და იძლევა მტვერსაც. ბევრი მეფეუტერის აზრით, ფუტკარი ჩაის ყვავილით ერთ სარგებლობს, ვინაიდან მცენარე გვიან ყვავილობს. ჩვენ ამ საკოთხს განსაკუთრებული ყურადღება მივაძირეთ. გამოირკვა, რომ ჩაის ყვავილს ფუტკარი ძლიერ ეტანება და მისგან ნექტარსა და მტვერს იღებს. შეიძლება ეს იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ამ დროს სხვა თაფლოვან მცენარეთა ყვავილობა თითქმის მოლიანად დამთავრებულია.

დაკვირვებამ გვიჩენა, რომ ჩაის ბუჩქის ერთ ყვავილზე ფუტკარის შეჩრების ხანგრძლიობა საშუალოდ $1\frac{1}{2}$ წუთის უდრის. იგი მასზე უმთავრესად მუშაობას იწყებს დღის 1—2 საათზე და ამთავრებს 3—5 საათზე.

* * *

შემოდგომის თაფლოვანი მცენარეები ხელს უწყობენ კვერცხის დების გავრცელებას და ოჯახში ახალი თაობის მიღებას. ამის გამო მათ გარეველი

მნიშვნელობა აქვთ მეფუტერეობის განვითარების საჭეში. მართლიანი კრიტიკული შემოდგომის თაფლოვან მცენარეთა რაოდენობა რამდენიმე სახუმავაში ჰქონდება, მაგრამ აქ მათი ზრდის გრძელელი პერსეპტივაც პრისტისტიმ დამტკიცებულ საკუთრებით ეს თოქმის ჩაის შესახებ, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან კულტურას წარმოადგენს და რომლის ფართობი წლითიწლობით მატულობს.

* * *

ასეთია გურიის თაფლოვანი მცენარეების დაგვუფება ყვავილობის ვაღების მიხედვით და მათი მოკლე დახასიათება მეფუტერეობის საკუდ ბაზად გამოყენების თვალსაზრისით.

ზემოჩამოთვლილ მცენარეთა შორის მრავალი სარეველა თაფლოვანი, რომლებიც თვალსაზრის სახსახურს უწევენ საფუტერე მეურნეობას (უმთავრესად ხანგრძლივი ღალიანობის გამო), მაგრამ მათ ამავე დროს დიდი ზიანი მოაქვთ კულტურული მცენარეებისათვის. ამიტომ სარეველა-თაფლოვანი შცენარეების გავრცელების არეალი წლითიწლობით კლებულობს.

ჩვენს მიერ ზემოთ დასხველებული თაფლოვანი მცენარეებით არ ამოიწურება გურიაში გავრცელებული თაფლოვან მცენარეთა რაოდენობა. ცხადია, დაი მომავალში უფრო შეიცვება და გაფართოვდება. მაგრამ მოკლემული მასალიდანაც კი ნათლად ჩანს. რომ გურიაში შესანიშნავი კლიმატური პირობების შეღეგად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი თაფლოვანი მცენარეა გავრცელებული. მის გამო აქ თითქმის წლის განმავლობაში განუწყვეტელი შეტნაკლები ღალიანობა ვცაქვს და მეფუტერეობის ვანვითარების უდიდესი პერსეპტივა არსებობს. მართალია, ეს ღალიანობა ყოველთვის ერთნაირი სიძლიერით არ მიმდინარეობს. მაგრამ ზოგჯერ მცირე ღალიანობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ფუტკრის ოჯახის ცხოველუნარიანობის შენარჩუნებისა და გაძლიერების თვალსაზრისით.

თაფლის სასაქონლო პროცესის მატება თაფლოვანი მცენარეებისა და ფუტკრის ოჯახთა საერთო რაოდენობის ზრდასთან ერთად, დიდადაა დამოკიდებული აგრეთვე საფუტერე მეურნეობის სწორად მოწყობასა და არსებული თაფლოვანი ფლორის მაქსიმალურად გამოყენებაზე.

ვფიქრობთ ზემოთ მოცემული ცნობები გარკვეულ დახმარებას გაუშევს ზურგაში მომუშავე მეფუტკრეებს საფუტერე მეურნეობის რაციონალურად წარმართვაში, როთაც ისინი თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის მშენებელთა მშარდი მატერიალურ-კულტურული მოთხოვნილების უფრო მეტად დაკავშირდების საჭეში.

1968 թվականից պեղում ուղղությունը հաջախառնություն, լուս
բարեցնելու քայլություն շաբաթ



Խ Ա Յ Հ Ա Ր Ժ Ա Յ Հ Ա Յ Հ Ա			Տ Ի Վ Ա Ր Ժ Ա Յ Հ Ա Յ Հ Ա	Հ Ա Ր Ժ Ա Յ Հ Ա Յ Հ Ա	Հ Ա Ր Ժ Ա Յ Հ Ա Յ Հ Ա	Հ Ա Ր Ժ Ա Յ Հ Ա Յ Հ Ա	Հ Ա Ր Ժ Ա Յ Հ Ա	
Հ Ա Յ Հ Ա Ր Ժ Ա Յ Հ Ա	Խ Ա Յ Հ Ա Ր Ժ Ա Յ Հ Ա	Հ Ա Ր Ժ Ա Յ Հ Ա					Հ Ա Ր Ժ Ա Յ Հ Ա	Հ Ա Ր Ժ Ա Յ Հ Ա
1	2	3	4	5	6	7	8	
ըսումբան	խոքուն	<i>Stellaria media</i> L.	ծաղկական	հաջախառնություն	անդամական	աղքատացնելու հաջախառնություն	անդամական անդամական	
աղու	օրինակ	<i>Corylus</i>	ծաղկական	կարծիք	անդամական	-	անդամական	
թզիկնու	կորինչու	<i>Seraphium moschata</i> L.	ծաղկական	կարծիք	անդամական	-	-	
մեղ	սանառ	<i>Buxus colchica</i> P.	ծաղկական	-	անդամական	-	անդամական	
ծաղկական	տեղական	<i>Prunus divaricata</i> Ldb.	ծաղկական	-	անդամական	անդամական անդամական	անդամական անդամական	
շաղկական	տիշա	<i>Cerasus vulgaris</i> Mill.	-	հաջախառնություն	անդամական	անդամական անդամական	անդամական անդամական	
խուճան	գրուշ	<i>Rumus</i> sp. <i>difficult.</i>	-	-	-	-	խուճան գրուշագործություն անդամական	
նուռական (նուռ- նուռ)	փափառ ճական	<i>Ostrya alnifolia</i> Garsault	-	-	անդամական	-	խուճան նուռական անդամական	
ընկածու	մաքար	<i>Malus domestica</i> Borkh.	ծաղկական	հաջախառնություն	-	անդամական անդամական	խուճան անդամական	

1	2	3	4	5	6	7
јесен	слива	<i>Prunus domestica</i> L.	-	бадемът и сърчи жънта	сърчи	занесен във външна околина
зима	нандарин	<i>Citrus nobilis</i> Laur.	-	-	сърчи	занесен във външна околина
весна	апельсин	<i>Citrus sinensis</i> Osbeck	-	-	-	занесен във външна околина
зима	лимон	<i>Citrus limon</i> Burm.	-	бадемът	-	занесен във външна околина
кохълъ боровският	туринг оби- наваща	<i>Diospyros lotus</i> L.	-	-	сърчи	занесен във външна околина
весна	цветък	<i>Rhododendron</i> Cham. Des.	бадемът	-	-	занесен във външна околина
зима	понтейский рододендрон	<i>Rhododendron</i> <i>ponticum</i> L.	-	-	сърчи	занесен във външна околина
кохълъ	крушинка ложка	<i>Melanoxia frangula</i> L.	-	бадемът и сър- чи жънта	-	занесен във външна околина
весна	лавровица	<i>Laurus nobilis</i> L.	бадемът	бадемът	-	занесен във външна околина
зима	акация	<i>Acacia</i>	бадемът	-	сърчи	занесен във външна околина
зима	черника	<i>Vaccinium myrti- lum</i> L.	бадемът	-	сърчи	занесен във външна околина





1	2	3	4	5	6	7	
Чистець лідичий оранжево-жовтий квітка	клевер крас- ний клевер білий	<i>Trifolium pratense</i> L. <i>Trifolium repens</i> L.	багаторічник зимостійкий	багаторічник зимостійкий	багаторічник зимостійкий	багаторічник зимостійкий	багаторічник зимостійкий
Бузульник	шалфей	<i>Salvia</i>	багаторічник зимостійкий	багаторічник зимостійкий	багаторічник зимостійкий	багаторічник зимостійкий	багаторічник зимостійкий
Клубніця	гутта красна	<i>Lamium album</i> L.	+	+	+	багаторічник зимостійкий	однолітник засушливий
Лілія	бура	<i>Glechoma hederacea</i> L.	+	+	багаторічник	багаторічник зимостійкий	багаторічник зимостійкий
Барбарис	жовтий	<i>Rubus</i>	багаторічник	багаторічник до зими	+	багаторічник зимостійкий	однолітник засушливий
Сірбія	тунго	<i>Aleurites</i>	із	+	багаторічник	багаторічник зимостійкий	однолітник засушливий
Гліадіус	гладичевий	<i>Gleditschia triacanthos</i> L.	+	+	+	багаторічник зимостійкий	багаторічник зимостійкий
Гільза	жаштан	<i>Castanea</i>	+	+	+	+	однолітник засушливий
Дон	зінник	<i>Melilotus</i>	багаторічник	+	+	однолітник засушливий	однолітник засушливий зимостійкий
Більшість лісочного я- русу	турма япо- нська липа	<i>Diospyros kaki</i> <i>Tilia</i>	із	багаторічник	+	+	однолітник засушливий
Ліхтарник лісовий	пальмовий плющ	<i>Hedera colchica</i> <i>caucasica</i> D.	багаторічник	багаторічник до зими	багаторічник	багаторічник засушливий	однолітник засушливий
Ліхтарник	чай	<i>Thea sinensis</i> L.	+	+	багаторічник	однолітник засушливий	однолітник засушливий

В. С. ПРАНГУЛАШВИЛИ



Опыление и группировка мёдоносных растений в Гурии с точки зрения их использования для кормовой базы пчеловодства

РЕЗЮМЕ

В статье довольно исчерпывающе показано, какие и сколько медоносных растений существует в Гурии, сроки их цветения, нектаропродуктивность, ареал распространения и их использование в качестве базы для пчеловодства.

Кроме этого в статье описаны существующие в Грузии медоносные растения с точки зрения их цветения.

В течение определенного периода года, на основании группировки, установлено значение того или иного медоносного растения для пчеловодства.

В этой статье выясняется и то, что медоносные растения в Гурии настолько многообразны и разновидны, что именно в этот период как раз осуществляется усиление семей пчел и накопление товарной продукции мёда.

Таким образом, основные виды мёдоносных растений, которые представлены в данной статье, представляют первую попытку правильного подбора кормовой базы для пчеловодства вообще и можно рекомендовать пчеловодам Гурии в частности.

ЛИТЕРАТУРА

1. Глухов М. М.—Важнейшие медоносные растения и способы их разведения. Москва, 1950.
 2. Комаров Г. М., Губин А. Ф.—Пчеловодство. Москва, 1937.
 3. Ковалев А. М., Ниждин А. С., Полтев В. И., Паранов Г. Ф., Текков В. А.—Пчеловодство. Москва, 1952.
 4. Мчедлишвили Г. И.—Улучшение кормовой базы пчеловодства в Латгалии (в юго-восточной части Латвийской ССР). автореф. канд. диссертации. Москва, 1960.
 5. ს. ჯოვანი, გ. ჯოვანი—უცტების მთვარა-მომენტები. თბილისი, 1951.
-

შემოსის წილით დარღვევის გამოყენის სახარულობის დასრულება

სამიზანო ინციდენტის შემოსის, ტ. LVII, 1962 წ.

Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени Грузинского сельскохозяйственного института, т. LVII, 1962 გვიგვილის

როფ. ი. ჩხერიძე

მორჩვის საპიროვანის მიზანით მიკრობარიზაციის
ცდა აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე

მაღალი აგროტექნიკის პირობებში მორწყვის ეფექტურობა. უკვე ცალკე შემთხვევაში, მით უფრო მაღალია, რაც უფრო დიდია კულტურის მთლიანი წყალმოთხოვნილება (აორთქლება მცენარის მიერ და ნიადაგის ზედაპირიდან) და იგი ნაკლებ უზრუნველყოფილია ატმოსფერული ნალექებით, ე. ი. რაც უფრო დიდია სხვაობა წყალმოთხოვნილებასა და მოსულ ატმოსფერულ ნალექებს შორის.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ კულტურათა წყალმოთხოვნილების განსაზღვრის ასებული ზუსტი, მაგრამ მეტად შრომატევადი და ხანგრძლივი კვლევა-ძიების მომთხვევი მეთოდით მიღებული შედეგები შედარებით მცირე ფართობის პირობებში გამოიყენება და, თავისთვად ცხადია, მხოლოდ ამ მეთოდით სარგებლობა მეტად ძნელია თანამედროვე ფართო საირიგაციო შენებლობის და დიდი ფართობების ათვისების პირობებში.

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს კულტურათა წყალმოთხოვნილების დადგენა ცალკე ზონების მიხედვით და აღნიშნული მიზნისათვის ისეთი მარტივი, პრაქტიკულად საქმაოდ ზუსტი წესის დამუშავება, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება ცდის შედეგების ფართო გავრცელება დამატებითი ხანგრძლივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გარეშე.

ამ ამოცანის გაღაწვევება შესაძლებელია მხოლოდ კულტურათა წყალმოთხოვნილების და მასზე მოქმედ ფაქტორთა შორის გამოვლინებული დამოკიდებულების საფუძველზე.

აღნიშნული დამოკიდებულების საკითხი საფუძვლიანადაა დამუშავებული პროფ. ა. ალპატიევის მიერ, რომლის შედეგები მოცემულია მის შრომაში „კულტურული მცენარეების წყალბრუნვა“ (1).

საკითხის დამუშავებას ა. ალპატიევმა საფუძვლად დაუდო კ. ტიმირიაზევის (5) მიერ 1892 წელს გამოთქმული დებულება, რომ „მცენარის მიერ წყლის ორთქლება ფიზიკურ კანონებს ექვემდებარება და მთავარ ფაქტორებად მიჩნეული უნდა იყოს ატმოსფეროს ტენიანობა, ქარი და მზის გავლენა“.

„დიდი რუსი ფიზიოლოგის ამ მოკლე წინადაღებით — ალნიშვანის ა. ა. ვა-
ტიევი — ნათლად არის ნაჩერები ტრანსპირაციასა და გარემო პირობების
კერძოდ. კლიმატს შორის არსებული ურუეები კავშირი“. ერთივაზული

ნათქვამის დასადასტურებლად ა. ალპატიევს მოჰყავს აგრძელებულ მისამართს და ს. კოსტიჩევის შეხედულება და განსაკუთრებულ ყურადღებას. აუცილეს ს. კოსტიჩევის (4) დასკვნას, რომ მცენარის მიერ ორგანული მასის
დაგროვებასა და ტრანსპირაციას შორის ფუნქციონალური კავშირი არ არ-
სებოდს.

მით სავსებით გამოთიშულია დღემდე ასებული ტრანსპირაციის კოე-
ფიციენტის საშუალებით მცენარის წყალმოთხოვნილების გაანგარიშების წესი.
საკითხთან დაკავშირებით ასებული მასალების ანალიზის შედეგის და
უშუალო დაკვირვებების მონაცემების საფუძველზე ა. ალპატიევი იმ დასკვნამ-
დე მიღის, რომ ოპტიმალური ტენიანობის და მაღალი აგროტექნიკის პირობებში
მცენარის მთლიანი წყალმოთხოვნილება (აორთქლება მცენარის მიერ და ნია-
დაგრის ზედაპირიდან; ტოლია $E=0.65$. გ. დ. სადაც E — მთლიანი წყალმოთხოვნი-
ლება შეით. გ. დ. პარში ტენიანობის დეფიციტი შე-ობით და 0.65 — კოე-
ფიციენტი. ჩვენ მიერ წყალმოთხოვნილების კოეფიციენტიად წოდებული (10).

ამ ფორმულის გამოყენების შემზღვეველ პირობად იგი თვლის დაბალი
მოსავლიანობის შემთხვევას და წყლის მცირე მოძრაობას ზოგიერთ მეტად
ცული ფიზიკური თვისებების მქონე ნიადაგებში. „მაგრამ, სოციალისტური
სოფლის მეურნეობა — ამბობს ა. ალპატიევი — ეყრდნობა მაღალ და მყარ
მოსავლიანობას და სტრუქტურულ ნიადაგებს“. რაშიც არ შეიძლება არ დავე-
თონსმოთ მას.

ამრიგად, ალნიშნული ფორმულა მიღებული უნდა იქნეს საქმაოდ მაღალი
აგროტექნიკის და ოპტიმალური ტენიანობის პირობებში. ცხადია, ვრცენტის
წყლით ნაწილობრივ კვების პირობებში ფორმულა იძლევა არასწორ მონაცემს
და განვარიშების ასეთი მეთოდი მიუღებელია.

მცენარის მთლიან წყალმოთხოვნილებასა და პარში ტენიანობის დეფი-
ციტს შორის გარკვეული დამოკიდებულება დაგრენილ იქნა აგრეთვე ავტორის
ხელმძღვანელობით აღმოსავლეთ საქართველოში 1948 — 1950 წლებში (8,9)
ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად.

აღმოსავლეთ საქართველოში სას.-სამ. კულტურათა მორწყვის რეეგიმის
მონაცემების ანალიზი ვაინვენებს. რომ წყალმოთხოვნილების კოეფიციენტი (ჩვენ)
აქ არამდენადმე დაბალია. გირჩო რუსოთის შუა და ჩრდილოეთ ნაწილში,
საერთოდ, როგორც შემდეგში დავინახავთ. შეიმჩნევა, რომ რაც უფრო დაბა-
ლია პარში ტენიანობის დეფიციტი, წყალმოთხოვნილების კოეფიციენტი შე-
დარებით მეტია და პირიქით. განათხულზე იგი გაცილებით მეტია, ვიდრე
ზაფხულში.

შეხრაში 1951 — 1953 წლებში ჩატარებული სპეციალური ცდის (2) შე-
დეგად დადასტურდა, რომ ნიადაგში ოპტიმალური ტენიანობის პირობებში
(ზღვრული წყალტევადობის 80 — 75%) საშემოდგომო ხორბლის წყალმოთ-

ხოვთლება პრილის და მაისის განმავლობაში ჰაერში ტენიანობის დეფიციტი 0,60 ნაწილს შეადგენდა, ე. ი. $E=0.60 \cdot SD$.

გარდამას პირობებში კა. სადაც SD გაცილებით მეტია. 0.55-ზე და მოლოდინი დაბლობით სეთოვე მონაცემების მიღებული თბილისის მიღამოების პირობებში (9).

გარდამას გაზაფხულზე ნათესი სიმინდის აღმოცენებიდან ყვავილობა-დე (2/V—6/VII) $K_{\text{ფ}} = 0.55$ აღწევს. ხოლო ყვავილობის შემდეგ აგვისტოს ბოლომდე $K_{\text{ფ}} = 0.34$ -მდე დაცა.

მუხრანში, საშუალო 1955—57 წლების განმავლობაში, სიმინდის მიერ ქონისის გამოტანამდე $K_{\text{ფ}} = საშუალო 0.52$ ტოლია. შემდეგში კი დაწილებამდე — 0,44 შეადგნს (11).

კორის რაიონში 1950 წელს (9) შექრის კარხლის წყალმოთხოვნილების კოეფიციენტი 17 პრილიდან 31 მაისამდე 0,60 ტოლია. ხოლო 1 ივნისიდან 15 სექტემბრამდე, ე. ი. მოსავლის აღების დაწყებამდე, იგი 0,50-მდე შემცირდა.

სას.-სამ. მელიორაციის კათედრის მონაცემების მიხედვით (3) 1955—56 წლებში მუხრანში ვენახის $K_{\text{ფ}} =$ გაზაფხულზე ყვავილობამდე. ტოლია 0,58, ხოლო ყვავილობის შემდეგ აგვისტოს ბოლომდე — 0,50.

მარნეულის რაიონში 1940 წელს (7) შესაბამისად მიღებულია გაზაფხულზე 0,60 და ზაფხულში 0,43.

იმავე 1940 წელს ალაზნის ელის აღმოსავლეთ ნაწილში, ხირსის საბჭოთა მეურნეობაში (7), ზაფხულში აღნიშნული იქნა ვენახის $K_{\text{ფ}} = 0,39$. თუ ამდენად ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა მცენარის წყალმოთხოვნილების დადგნაში კლიმატურ პირობებს, კარგად ჩანს გარდამას სანაწევრალო სიმინდის (6) 1945—46 წ. მაგალითზე.

თუ გაზაფხულზე ნათეს სიმინდში 3020ტაციის პირველ ნახევარში $K_{\text{ფ}} = 0.55$ ხოლო მეორე ნახევარში კი $K_{\text{ფ}} = 0.34$, სანაწევრალო სიმინდში. პირიქით, ვეგეტაციის პირველ ნახევარში, როდესაც ჰაერში ტენიანობის დეფიციტი მაღალია. $K_{\text{ფ}} = 0.38$, ხოლო მეორე ნახევარში $K_{\text{ფ}} = 0.55$ (6).

ყველა ზემოთ მოკანილი მონაცემების საფუძველზე წყალმოთხოვნილების კოეფიციენტად გაზაფხულზე საშუალოდ შეიძლება მიეღონთ $K_{\text{ფ}} = 0,60$, ხოლო ზაფხულში 0,50. იმავე დროს, როგორც დაკვირვებიდან ჩანს, თუ ზაფხულში SD 900 მმ-ზე მეტია. აღნიშნული კოეფიციენტი საშუალოდ 0,40-მდე ეცემა.

ბუნებრივ პირობებში მორწყვის საკიროებას განსაზღვრავს ჰაერის ტენიანობის დეფიციტის შეფარდება ატმოსფერულ ნალექებთან. რაც ჩვენ მიერ წოდებულია ჰაერის ტენიანობის დეფიციტის სიმძაფრის კოეფიციენტად

$K_{\text{ფ}} = \frac{SD}{SP}$, სადაც SP არის ატმოსფერულ ნალექთა ჯამი გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ნიადაგის ბუნებრივად ოპტიმალური გატენიანების შემთხვევაში აუდიტორი რული ნალექების რაოდენობა დაახლოებით ტოლია $SP = \frac{SD}{K_{\text{ფ}}}$ და დაკლიმა ჰაერის ტენიანობის დეფიციტის სიმძლავრის კოეფიციენტი $K_{\text{ფ}} = \frac{SD}{\sum K_{\text{ფ}}}$.

აღნიშნული კოეფიციენტი, ჩვენს მიერ დადგენილი $K_{\text{ფ}}$ რაოდენობრივი მაჩვენებლების შესაბამისად, ტოლია გაზაფხულზე $K_{\text{ფ}} = \frac{1}{0,60} = 1,67$, ხოლო ზაფხულში $K_{\text{ფ}} = \frac{1}{0,50} = 2,00$ და $K_{\text{ფ}} = \frac{1}{0,40} = 2,50$.

ამ მონაცემების შემდგომი ზრდა უკვე მორწყვის საჭიროების მაჩვენებელია და რაც უფრო დიდია $K_{\text{ფ}}$, მით უფრო მეტი რაოდენობის წყალია საჭირო მცენარის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

სარწყავი წყლის მოთხოვნილება ყოველ წელს პერიოდში შეადგენს $W = K_{\text{ფ}} \cdot SD - SP$ (მილიმეტრობით).

ზემომყვანილი დებულება ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა სარწყავი ტერიტორიის მორწყვის საჭიროების მიხედვით მიკროდარაიონების საკითხში.

მაგალითისათვის მოგვყავს ერთმეორისაგან საქმაო მანძილით დამორჩული ოთხი მასივის შეფასება (ცხრ. 1).

ცხრილი 1

შეტყობინებული საფეხური (სიმაღლე მ-ობით)	ჭავა 1124	დრანისი 1256	მუხრანი 551	შირაქი 550
პერიოდი	IV-V	IV-V	IV-V	IV-V
უცირესი	1,82	12	1,74	5
საშუალო	1,85	15	1,88	16
უდიდესი	1,90	20	2,03	20
პერიოდი	VI-VIII	VI-VIII	VI-VIII	VI-VIII
უცირესი	2,15	19	2,01	1
საშუალო	2,69	63	2,86	76
უდიდესი	3,93	133	3,70	128

ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს, როგორ იზრდება წყლის მოთხოვნილება ჰაერიში ტენიანობის დეფიციტის სიმძაფრის კოეფიციენტის ($K_{\text{ფ}}$) ზრდასთან ერთად, რომ გარკვეული კანონზომიერება არსებობს როგორც გაზაფხულზე, ისე ზაფხულში.

მონაცემებიდან ჩანს აგრეთვე, რომ ჩამოთვლილი ოთხი პუნქტი თავითმანეთისაგან განსხვავებულ მიკრორაიონში მდებარეობს: ჭავა და დრანისი,

სადაც გაზაფხულზე საშუალო მოთხოვნილება 15—16 მილიმეტრით განხოან-ლვრება და ზაფხულში 63—76 მილიმეტრით, ერთ მიკრორაიონში სწორი ფართო მუხრანი და შირაქი ასეთივე სიზუსტით უკვე ცალკე მიზრიშცანის შემარტება აღვენებ.

მიკროდარაიონების მეთოდიკა

თითოეული მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების გამოყენებით გაანგარიშებულ იქნა ყოველწლიური გაზაფხულის (IV—V) და ზაფხულის (VI—VIII) პერიოდის დეფიციტის სიმძლურის კოეფიციენტი (K_დ) და შემდეგ რწყვის მომთხოვნ წლების მიხედვით, ე. ი. სადაც (K_{სა}) აღმატებოდა გაზაფხულზე 1,67 და ზაფხულში 2,0—2,5 (ΣD-ს შესაფერისად), დადგნილ იქნა უმცირესი, საშუალო და უდიდესი ატმოსფერული ნალექების და პერიოდის ტენიანობის დეფიციტის სათანადო მაჩვენებლებით.

ამასთანავე ერთად დაგვენილ იქნა თითოეული მეტეოროლოგიური სადგურისათვის რწყვის მომთხოვნ წელთა განმეორებადობა % - ბით.

აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადი 36 მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების დამუშავების შედეგად აღმოჩნდა, რომ მორწყვის მომთხოვნ წლებში გაზაფხულზე საშუალო K_{სა} მეტყობს 1,85-დან 5,30-მდე და ზაფხულის პერიოდში 2,44-დან 10,65-მდე. შესაბამისი უმცირესი და უდიდესი მაჩვენებლებია გაზაფხულზე 1,68—3,38 და 1,90—10,26, ხოლო ზაფხულში — 2,01—6,68 და 2,97—17,92.

მიღებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს. რომ შეიძლება გამოყოთ დალკე მასივების ჯგუფი, სადაც გაზაფხულზე წყლის მოთხოვნილება საშუალოდ ერთ მთლიან მორწყვასაც ვერ აღწევს და რწყვის აქ უაკულტარული ჩასიათი აქვს.

შემდეგ ჯგუფს ახასიათებს გაზაფხულზე ერთი მორწყვის საჭიროება, ანუ, ჩვენი დაყოფით, ჯგუფი საჭიროებს ზომიერ რწყვას.

მესამე ჯგუფი საჭიროებს გახშირებულ რწყვას, ე. ი. საშუალოდ ერთს და, ძლიერ გვალვიან წლებში, ორ რწყვას.

მეოთხე ჯგუფს ახასიათებს ხშირი რწყვის საჭიროება, საშუალოდ ორი და ძლიერ გვალვიან წლებში სამი რწყვა.

ზაფხულის პერიოდის მაჩვენებლების მიხედვით გამოყოფილი გვაქვს აგრეთვე ოთხი ჯგუფი: 1) ზომიერი რწყვით — საშუალოდ ერთი, ხოლო ძლიერ გვალვიან წლებში ორი; 2) გახშირებული რწყვით — საშუალოდ ორი, ძლიერ გვალვიან წლებში სამი-ოთხი; 3) ხშირი რწყვით — საშუალოდ სამი, ძლიერ გვალვიან წლებში ოთხი და 4) ინტენსიური რწყვით — საშუალოდ ოთხი; ძლიერ გვალვიან წლებში ხუთი რწყვით.

მორწყვის მომთხოვნ წელთა განმეორებადობის მაჩვენებლების მიხედვით სარწყავი მასივები დაყოფილია 3 ჯგუფად:

- I ჩგული რწყვას (ჩვეულებრივი ფაკულტატური) საჭიროებს მდინარე შედებში, განმეორებადობა 20%-მდე.
- II—რწყვას საჭიროებს პერიოდულად, განმეორებადობა შედებში შესტკებული
- III—რწყვას საჭიროებს სისტემატურად, განმეორებადობა 75—100%-მდე.

მიკროდარაიონება

აღნიშნული მეთოდით სარგებლობის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში გამოყოფილია 11 მიკრორაიონი შემდეგი მაჩვენებლებით (*K*_{ია} და *W* მმ-ით მოცემულია 3 მაჩვენებლით — უმცირესი, საშუალო და უდიდესით, ხოლო ფრჩხილებში ნაწევნებია განმეორებადობა % - ითით):

I მიკრორაიონი. რომელსაც მომსახურებას უწევენ სადგურები — ჭყალი, თიანეთი, ჭავა, წალკა და ღმანისი.

პერიოდი	K _{ია}	W მმ-იბით
გაზაფხული ზაფხული	1,85—1,99—2,10 2,08—2,63—3,94	14—25—33 10—67—125

მორწყვა გაზაფხულზე იშევათ წლებში (16,1%) ფაკულტატური, ზაფხულში — პერიოდულად (52,0%) ზომიერი (1 მორწყვა).

II მიკრორაიონს მომსახურებას უწევს ახალქალაქის სადგური.

პერიოდი	K _{ია}	W მმ-იბით
გაზაფხული ზაფხული	1,77—2,1—2,58 2,02—2,82—3,52	6—30—53 2—67—92

მორწყვა გაზაფხულზე პერიოდულად (56,5%) ფაკულტატური, ზაფხულში სისტემატურად. (89,8%) ზომიერი (1 — 2 მორწყვა).

III მიკრორაიონს მომსახურებას უწევენ სადგურები — დუშეთი და ლეინჯორი.

პერიოდი	K _{ია}	W მმ-იბით
გაზაფხული ზაფხული	1,79—2,20—3,13 2,20—3,20—4,60	10—27—87 24—110—185

მორწყვა გაზაფხულზე პერიოდულად (55,5%) ფაკულტატური, ზაფხულში — სისტემატურად. (89,8%) ზომიერი (1 — 2 მორწყვა).

IV მიკრორაიონს მომსახურებას უწევენ სადგურები — ლაგოდეხი, ყვარელი, ნაფარეული, ახმეტა, თელავი, ზეგანი, გურჯაანი.

პერიოდი	Kies	W მმ-ობით
გაზაფხული	1,96 – 2,52 – 3,25	25 – 65 – 104
ზაფხული	2,38 – 3,67 – 5,42	44 – 174 – 216

მორწყვა გაზაფხულზე პერიოდულად (33,3%), ზომიერი (1 მორწყვა), ზაფხულში სისტემატურად (92,2%), განშირებული (2 – 3 მორწყვა).

V მიკრორაიონს მომსახურებას უწევენ საღვრები — ხშირი, ცინკვალი, მეტვრისხევი, აღიგენი, ასპინძა, ახალციხე.

პერიოდი	Kies	W მმ-ობით
გაზაფხული	1,94 – 3,05 – 4,03	17 – 66 – 104
ზაფხული	2,57 – 4,31 – 7,08	57 – 179 – 242

მორწყვა გაზაფხულზე სისტემატურად (85,9%), ზომიერი (1 მორწყვა), ზაფხულში სისტემატურად (100,0%), განშირებული (2 – 3 მორწყვა).

VII მიკრორაიონს მომსახურებას უწევს საღვრები საგარეჭო.

პერიოდი	Kies	W მმ-ობით
გაზაფხული	1,75 – 2,78 – 3,34	8 – 77 – 107
ზაფხული	2,76 – 3,94 – 9,15	99 – 180 – 277

მორწყვა გაზაფხულზე პერიოდულად (40,0%), ზომიერი (1 მორწყვა), ზაფხულში სისტემატურად (100,0%), განშირებული (2 – 4 მორწყვა).

VIII მიკრორაიონს მომსახურებას უწევენ საღვრები — მუხრანი, გორი, სკრა.

პერიოდი	Kies	W მმ-ობით
გაზაფხული	1,75 – 3,15 – 4,79	7 – 76 – 136
ზაფხული	3,32 – 5,45 – 8,93	122 – 219 – 292

მორწყვა გაზაფხულზე სისტემატურად (82,8%), განშირებული (1 – 2 მორწყვა), ზაფხულში სისტემატურად (100,0%), ხშირი (3 – 4 მორწყვა).

VIII მიკრორაიონს მომსახურებას უწევს შირაქის საღვრები.

პერიოდი	Kies	W მმ-ობით
გაზაფხული	1,72 – 3,10 – 4,84	4 – 72 – 122
ზაფხული	2,87 – 5,12 – 8,92	105 – 229 – 322

მორწყვა გაზაფხულზე პერიოდულად (50,0%), განშირებული (1 – 2 მორწყვა), ზაფხულში სისტემატურად (100,0%), ხშირი (3 – 4 მორწყვა).

IX — მიკრორაიონს მომსახურებას უწევენ სადგურები — უნიტები და მიკრორაიონები განვითარება.

პერიოდი	K _{soil}	W მმ-ღბით
---------	-------------------	-----------

გაზაფხული ზაფხული	1,83—3,15—4,33 3,48—5,61—11,03	16—95—133 187—235—354
----------------------	-----------------------------------	--------------------------

მორწყვა გაზაფხულზე პერიოდულად (51,8%), გამშირებული (1—2 მორწყვა), ზაფხულში სისტემატურად (100,0%), ხშირი (3—5 მორწყვა).

X მიკრორაიონს მომსახურებას უწევენ სადგურები — თბილისი (**AMCG**), მარნეული, ბოლნისი, ელდარი (მეურნეობა).

პერიოდი	K _{soil}	W მმ-ღბით
გაზაფხული ზაფხული	1,95—3,23—5,94 4,79—7,70—13,34	24—95—159 201—265—360

მორწყვა გაზაფხულზე სისტემატურად (86,7%), გამშირებული (1—2 მორწყვა), ზაფხულში სისტემატურად (100,0%), ინტენსიური (4—5 მორწყვა).

XI მიკრორაიონს მომსახურებას უწევენ სადგურები — რუსთავი და გარდაბანი.

პერიოდი	K _{soil}	W — მმ-ღბით
გაზაფხული ზაფხული	3,05—4,70—7,96 5,45—10,05—13,96	86—140—215 245—314—354

მორწყვა გაზაფხულზე სისტემატურად (91,6%), ხშირი (2—3 მორწყვა),

XII მიკრორაიონს მომსახურებას უწევენ სადგურები — რუსთავი და გარდაბანი.

проф. И. А. ЧХЕНКЕЛИ

Опыт микрорайонирования по степени потребности в орошении на примере Восточной Грузии

РЕЗЮМЕ

В основу микрорайонирования положено известное положение о наличии определенной зависимости между суммарным водопотреблением растений и суммой дефицитов влаги в воздухе за вегетационный период, выраженный формулой:

$$\frac{\varepsilon}{\Sigma D} = K_s, \text{ т. е. } \varepsilon = K_s \cdot \Sigma D.$$



где Σ — суммарное водопотребление в мм,

ΣD — сумма ежесуточных дефицитов влажности в мм и

K_w — коэффициент, нами названный коэффициентом водопотребления.

Указанный коэффициент, по проф. А. М. Алпатьеву, равный 0,65 и нами уточненный и дифференцированный для условий Восточной Грузии, весною равен 0,60, а летом — 0,50 (при $\Sigma D < 900$ мм) и 0,40 (при $\Sigma D > 960$ мм).

Потребность в воде сверх атмосферных осадков исчисляется по формуле:

$$W = K_w \cdot \Sigma D - \Sigma P$$

где W — потребность в воде в мм

ΣP — количество атмосферных осадков в мм.

Степень потребности в орошении устанавливается отношением

$$\frac{\Sigma D}{\Sigma P} = K_w$$

названным нами коэффициентом напряженности дефицита влажности в воздухе.

В оптимальных условиях увлажнения K_w весною составляет 1,67, а летом — 2,00 или 2,50 (в зависимости от размеров ΣD).

С ростом K_w растет потребность в орошении.

В результате обработки многолетних данных 36 основных метеорологических станций Восточная Грузия по степени потребности в орошении подразделена на 11 микрорайонов с характерными для каждого из них показателями (повторяемость годов с потребностью в орошении, размеры K_w и потребной воды W весною и летом и количество поливов).

БАБИЧЕВОВЫЕ СООТНОШЕНИЯ

1. Алпатьев А. М.—Влагооборот культурных растений. 1954.
2. გ უ ბ ა ჭ ა ძ ე ქ. ი.—საშემოფენო ხორბლის მორწყვის რეერთი მუხრანის ველის პირობებ-ზე. 1954.
3. კ ი კ ვ ა ძ ე ქ. — ვენახების მორწყვის რცემის მუხრანის ველის პირობებზე. 1957.
4. Костычев С. Л.—Физиология растений. ч. II, 1933.
5. Тимирязев К. А.—Земледелие и физиология растений. том 11, 1948.



მინისტრი

6. ი მ ი ს ტ ა ზ ი ლ ი მ . — სანატურალო ჰიბინდის მოტუვის რეგიმი გარემობის დეპარტამენტის მინისტრის მიერ 1946.
7. ჭენკელი ი. ა.—Орошение в сельском хозяйстве Грузии. 1946.
8. ჭენკელი ი. ა.—Режим срошения и техника полива сельскохозяйственных культур в Грузии. Сборник трудов Груз. НИИТиМ № 2 (13), 1951.
9. ჭენკელი ი. ა.—Режим орошения сельскохозяйственных культур. 1951.
10. ჭენკელი ი. ა.—Режим орошения сельскохозяйственных культур в Грузии. Труды Груз. СХИ. т. XXXVIII, 1953.
11. ჭენკელი ი. ა.—Вопрос орошения кукурузы в условиях районов Шида и Кахетии. Труды Груз. СХИ. т. XLIX, 1958.



କେନ୍ଦ୍ରିୟ ବିଭାଗ ଏକାଧିକ ପରିମାଣରେ ପାଇଲାଗିଥିବା ପାଇଲାଗିଥିବା
ଶାଖାକୁଳଙ୍କୁ କରେଠିଲାଉଛି ରାଜ୍ୟରେ, ଓ. LVII, 1962 ଫ.

Труды Грузинского Ордена Трудового Красного Знамени
Сельскохозяйственного института, т. LVII, 1962 г.

ପ୍ରକାଶିତ ଦିନ: ୩୧୮୯୫

ზოგიერთი კუნძულის ჩამოგდეს და გავახვდებოდა
საკითხებისათვის საჭარბელოში და მის განხილვის

ამგვარად საყოველთაოდ იღიარებულია ის ფაქტი, რომ საქართველო ხორბლის კულტურის უცველესი კერაა. რომ მსოფლიოში ცნობილი ხორბლების 19 სახეობიდან 13 გვხვდება საქართველოში. მათ 13 სახეობიდან საქართველოსათვის ენდემურია *Tr. Timopheevii*, *Tr. georgicum*, *Tr. tubalicum* და *Tr. imereticum*. საქართველოსათვის, სომხეთისა, დაღუსტნისა და მოხაზურე ისმალეთის რაიონებისათვის ენდემური *Tr. earthlicum* ნაირსახეობრივი და ეკოლოგიური ფალსაზრისით ყველაზე სრულად საქართველოშია წარმოდგენილი. (Л. Л. Декапрелевич—Виды, разновидности и сорта пшениц Грузии. Труды института полеводства Ак. Н. Грузинской ССР. VIII. 1954).

ეს უკანასკნელი სახეობა—*Tr. carthlicum* (დიკა), მისი გამო რომ ის ნაირსახეობრივი სიმღიდორით ყველაზე სრულად საქართველოშია წარმოდგენილი, პროფ. ი. ჯავახიშვილისა და პროფ. ლ. დეკაპრელევიჩის მიერ მიჩნეულია როგორც ქართველური წარმოშობის პურული. პროფ. ლ. დეკაპრელევიჩიდა პროფ. ი. ლომიოური სამართლიანად თვლიან, რომ დიკა მესობელ ქვეყნებში გადატანილია საქართველოდან.

პროფ. დეკანის თავისი მრავალი გამოკვლევის საფუძველზე დასკვნის, რომ „ხორბლების გვარის ეკოლუცია თავის მნიშვნელოვან ნაწილში მიმღინარეობდა საქართველოს ტერიტორიაზე და რომ საქართველო ხორბლების ფორმაციული მდგრადი განვითარების დარღვევა საჭირო და უსაკრძალო იყოს წარმოადგინას“.

რბილი ხორბლების წარმოშობაში საქართველოს როლის განხილვისას, დეკაპრელევვიჩი დაასკენის, რომ ამ სახეობის წარმოშობა ფრიად მნიშვნელოვნად დაკავშირდებულია საქართველოსთან (Л. Л. Декапрелевич—Грузинский очаг формообразования пшеницы; Роль Грузии в происхождении пшеницы. Сообщ. АН Груз. ССР, т. III, № 5 и 7, 1942).

Земле. З. Жуковский озабочен вопросом о том, что же это за растения, и в каком количестве они произрастают на территории Сибири. Важно отметить, что эти растения являются ценными для сибирской флоры. Их можно использовать для изучения природы и для создания новых видов сельскохозяйственных культур. Но для этого необходимо провести дальнейшие исследования и изучение особенностей этих растений.

საქართველოს ხორბლეულის განსაკუთრებული სახეობრივი სიმღიდრე გვიჩვენებს იბერიულ-კავკასიური ჯგუფის ხალხთა და, კერძოდ, ქართველური ტომების მნიშვნელოვან როლს მსოფლიოში გაერცელებული ხორბლის სახეობათა და კულტურული ჯიშების შექმნის საჭირო.

აღნიშნული გარემოება ცნადი ხდება საერთოდ ხორბლის და კულტურული გართული ხორბლების ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევების ჩრდილი შემადგრებულებების უზენაე დაყრდნობით დასკვნის, რომ კოლხიდისა და შევიკარიის ხორბლები მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ერთმანეთს ემთხვევიან, რომ მხოლოდ ხორბალი „მახა“ შეიცავს შევიკარიის არქეოლოგიური ხორბლების ძირითად ხასებრივ ნიშნებს, რომლებიც ცალ-ცალკე წარმოდგენილია თანამედროვე ხასებრიბის სტრუქტურაში, როგორიცაა *Tr. compactum*, *Tr. durum* და *Tr. turgidum*.

ამ ავტორის მსჯელობას საუკუნეელზე შევიკარიის ხიმინჯებიან ნავებობათა ხორბალი ძირითადად უნდა მიეკუთვნოს კოლხური ხორბლების სახეობებს, ე. ი. *Tr. macha*-ს და *Tr. palaeocolechicum*-ს (კოლხური ასლი). აეტორის წარმოდგენათა ასპექტზე ეკრობის ხორბლების მარაგი ნეოლითის ეპოქაში (IV—III ათასწლეული) წარმოდგენილი იყო *Tr. monosococarpum*-ის, *Tr. macha*-ს და *Tr. palaeocolechicum*-ის ძირითადი ჯგუფების სახით (В. მენაბე, შენიშვნი ერთობენ გვ. 8).

ის ტირიულ-ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ლინგვისტიკური და სხვ. მონაცემების საფუძველზე ცნობილია, რომ კაცობრიობის კულტურის ერთერთ კერას ცირკულაცია წარმოადგენს. ცნობილია აგრეთვე, რომ ამ კულტურის შემწეველ წინა ასიის უცველეს ხალხებს შორის დიდი როლი მიეკუთვნება ზურბებს, სუბარელებს, ხეობას და ნაირ-ურარტულებს, რომელნიც გვერდიურ კვერცხი იმუროფებან ქართველურ ხალხებთან; რომ მიწათმოქმედებას და სასოფლო-სამეურნეო კულტურებს აღნიშნული ხალხები იცნობდნენ ჯერ კიდევ მე-V ათასწლეულში. გ. ტანფილიევს (ჩოგორუ სხვა მრავალ მკლევარს) სორბალი მიაჩინა უცველეს კულტურად, რომლის წარმოშობას ის უკავშირებს ცელ კულტურულ ლალს—შუმერებს, რომელნიც მცხოვრული ნაყოფიერ ვაკები ბინადრობდნენ ბაბილონის ხამეფოს წარმოშობამდე (Г. И. Танфилиев—Очерк географии и истории главнейших культурных растений. 1923. გვ. 62).

პოლსნის პიპოთეზის ონაბრიდ იაერიულ-კავკასიური ჯგუფის ტომები და მათი მონათეგებები ზუა აზიიდან მდირეკავკასია-მცირე აზიაში ვადაადგოლდნენ. ამიტომ გასაგებია, რომ ისინი ონ გადაიტანდნენ ახალ ადგილ-სამყოფლოში თავიანთ უცველეს კულტურებს და მათ შორის ხორბლებს. გასაგებია აგრეთვე, რომ მდირეკავკასიაში იაერიულ-კავკასიური ჯგუფის ტომები ზუააზიანდან წამოლებულია, მათ მიერ სხვადასხვა დროს გამოყვანილი ხორბლის უცველესი ფორმების პარალელურად, ახალ ადგილსამყოფლოში ქმნიდნენ ახალ, აუგილობრივ პირობებს შევუბულ ფორმებს და ამიტომაც საქართველოს ტერიტორიაზე თავი მოუყრია ხორბლების სახეობათა 70%-ს (13-ს 19-დან).

კოლხეთში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალაში, რომელიც ნეოლითს მიეკუთვნება, კ. მენაბდის მიერ აღმოჩნდა *Tr. macha* Dek. et Men. (კოლხური ხორბალი „მახა“), *Tr. palaeoco-*



lechicum (კოლხური ასლი) და *Tr. vulgare* Host.—ჩვეულებრივი უბილე ტყებალი. პანს ჰელბეკი (H. Helbaek) თავის *Domestication of the Flora of Plants in the Old World* (1959) მმოძღვანს, რომ ქონდარა ხორბლი—*Tr. compactum*-ის (რბილი ხორბლების ჯგუფი) აღმოჩენა ევროპაში (ცვეიცარის მიზელსბერგის კულტურულ ფენებში) მე-III ათასწლეულში, ხოლო ახლო აღმოსავლეთში კი, საიდანაც ნავარიუდევია მისი წარმოშობა, მხოლოდ პირველ ათასწლეულში, რბილად რომ ვთქვათ. დაბნეულობის გამომდევი არისო.

თუმცა ამიტრკავკასია და კერძოდ საქართველო ახლო აღმოსავლეთს არ მიეკუთვნება, მაგრამ მის მეზობლად მდებარეობს და რბილი ხორბლების არქეოლოგიური ნაშთებით არც თუ ისე ღარიბია (კოლხეთ—ნეოლითი, თეთრი წყარო და ურბნისი—ენეოლითი), რაც (*როგორც ჩანს*) მისთვის უცნობი ყოფილა.

ბ. პროზნის მოწმობით, არპაჩიას (ჩრდ. მესოპოტამია) ხალაფურ ფენებში (V ათასწლეული) აღმოჩენილია „ასლისმაგვარი, ე. წ. ორმარცვლიანი ხორბალი *Tr. dicoccum* (გერმ. ემერი — H. Грозный—Донисторические судьбы Передней Азии, ВДИ 1940, № 3—4).

პანს ჰელბეკის უკვე დასახელებული *შრომის* (1959) მიხედვით, არპაჩიაზე უფრო ცველია ქურთისტანის მთიანეთში, მატარახის მხარეში აღმოჩენილი ემერი (*Tr. dicoccum*), რომელიც მიეკუთვნება მე-VI ათასწლეულს (ხარუნის პერიოდი). ცველაზე უდევლეს მონაცვრად, იმავე ვეტორის მიხედვით ითვლება ჯარმოში (ერაყის ქურთისტანის აღრინდელი პრეისტირული ადგილსამუფელი) აღმოჩენილი გარეული ხორბლის ორი სახეობის *Tr. dicocceoides*-ის და *Tr. Aegilopoides*-ის მაგვარი და აგრეთვე მოშინაურებული ტიპის—ემერის *Tr. dicoccum*-ის მსგავსი ხორბლის ნაშთები. ჯარმის ნამდვილი თარიღი, დადგნილი დღისათვის, არის მე-VII ათასწლეულის დასაწყისი (პაროლდ ჩაილდის და აგრეთვი ჯეკ პარლანის მიხედვით—5000, 4716 ± 300 წელი).

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველა დღემდე აღმოჩენილი არქეოლოგიური ხორბლები არასთავს არ არიან მათთვის მიეკუთვნებული სისტემატიკური ნომენკლატურის (მაგ. *Tr. monosaccum*-ის, *Tr. dicoccum*-ის *Tr. vulgare*-ს, *Tr. compactum*-ის და სხვ.) ტიპური თვისებების შემცველები და თითქმის ყოველთვის მათთან მეტნაკლებ მსგავსებას ამედავნებენ, ან მათ შორის შუალედური არიან. ამიტომ საფიქრებელია, რომ ნამარხ ხორბლებში, თუ უკილა არა, ყოველ მემთვევები ნაწილი მაინც. *Tr. macha*-ს ან მის ნაირსახეობის წარმოადგენს, რადგან, როგორც ეს კ. მენაბდემ დააღვინა, მხოლოდ „მახა“ შეიცავს ისეთ ძირითად სახეობრივ ნიშნებს, რომელნიც ცალ-ცალკე წარმოდგენილია თანამედროვე სახეობების—*Tr. compactum*-ის, *Tr. durum*-ის და *Tr. turgidum*-ის სტრუქტურაში.

აյ ზედმეტი არ იქნება თუ მოკლე შევჩერდებით „მახა“ ეტიმოლოგიაზე იმ მიზნით, რომ გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება ამ ხორბლის წარმომობის აღვილის შესახებ.



უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ხრობლის სახე—
ლი „მახა“ ემთხვევა სანსკრიტულ „mah—mahat“-ს. სანსკრიტული და გვარული „mahat“, ძველი ინდური „Mahas“, „maha“—დიდი ნიშნავს (შემატებულია Martin, Recherches sur les populations primitives et les plus anciennes, traditions du Caucase, 1847, გვ. 3. გენ. მესამე; C. C. Uhlenbeck Kurzgefasstes Etymologisches Wörterbuch der Altindischen Sprache, 1898—1899).

მალკოლმის ცნობით, სპარსეთში იყო Mah-Abad-ის—„დიდი აბადის“ დინასტია, ინდოელების „Mahabaly“ არის „დიდი ბალი“ (J. Malcolm, Histoire de la Perse, 1821, ტ. I, გვ. 11). ბულიშმის თრი მიმართულებიდან, ერთს „მახაიანა“ ეწოდება („მახა“—დიდი ფართო, „იანა“—ეზა: „სულის მოპოვების ფართო გზა“). შანთე დე-ლა სიცე, История религии. т. II, стр. 110—111, 1899).

სანსკრიტული „მახარაჯა“ დიდ მეფეს ნიშნავს, „მახარა“—დიდ გმირს „მახაბარატა“—თქმულების ბხარატების დიდი ბრძოლის შესახებ და სხვ.

ქართული „მახათას მთა“, „მახათი“ (დიდი ნემსი), ზოგიერთი გვარი (მახათაძე, მახათელი) სიტყვა „მახა“—mahat—იდან უნდა იყოს წარმომდგარი.

ამავე ლროს, ვ. მენაბდეს მიხედვით, „მახა“ ცნობილია როგორც მამაკაცის სახელი სამეცნიეროში, როგორც ხორბლის სახელი რაჭა-ლეჩხემში და სამეცნიეროში და დასახლებული ადგილების სახელი სამეცნიეროში და სეანეთში. „მოხა“ ხორბლის სახეობის ლაზური სახელია, ისე როგორც „მოგხა“—დალესტნური (B. L. მენაბდე, იქვე გვ. 16).

პროზნის გამოკვლევით, სიტყვას „mah“ შემცირულ ენაჲე თითქმის ასეთივე მნიშვნელობა იქვე: „მედიცინი“ განსაკუთრებით საპატიოცემო (B.L. მენაბდე, იქვე).

ამ სიტყვის მნიშვნელობების დამოხვევა სანსკრიტულ, ძველინდურ და ინდრიულ-კავკასიური ჯგუფის ხალხების ენებში (რომ ეს სიტყვა საერთოა ამ ენებში) იმის მარცვნებელი უნდა იყოს, რომ ინდრიულ-კავკასიური ჯგუფის ტომებს (პური-კავკასიური) და მათ შორის ქართველებს ხორბალი „მახა“ გამოყვანილი იქვთ ინდოეთის მეზობლად შეუ ანიაში ბინადრობის დროს და ამიტრაკავკასიაში გადასახლებისას თან წაულიათ.

მახას და მისმაგვარი ხორბლის ფორმებისათვის დამახასიათებელი თავთავის მრვერევადობის და კილთან მარცვლის მჭიდრო დაკავშირების გამო, ქართველ ხალხს შათ ასალებად განსაკუთრებული ხელსაწყო, „შაჲევი“ გამოუგონებია.

პროფ. ლ. დეკაბრელევიჩი და ვ. მენაბდე აღნიშნავენ, რომ მახა ენდემური, პირველადი, საწყისი სახეობაა, როგორიც შეიძლება იყოს მინეული როგორც კულტურული ხორბლის „ცოცხალი წინაპარი“ და რომ ის საშუალების იძლევა ნეწილობრივ მაინც გავერკვეთ *Triticum* გვარის ევოლუციაში.

როგორც ეს ი. ჯეგახიშეილის მიერ ნათლად არის დადგენილი, პურეულის ქართული სახელები, როგორც მაგალითად „ასლი“, „იუქლი“ „დიქა“ და 116

„დოლის პური“, დელის-ტელი ქართული სახელებია, რომელიც რომელიმე სხვა ენაში ასებულ სახელებს არ უდგებიან. ქართველურ ტომებს მართვა ხორბლის მრავალი ჯიშისა და მრავალი სახეობის „შემქმნელთ შეკრუჩენ“ მცენარეთა და, კერძოდ, ხორბლის სისტემატიკაც ჩამოუყალიბებით, რასაც საფუძვლად დადგებია თვით ხორბლის მცენარის, მეტწილად მისი თავთავის და ზოგჯერ ფხის, „შეფერილობა ან კიდევ თავთავის ფხიანობა თუ უფხოლბა.

ხორბლის სპეციალურ სახელებთან ერთად, ქართველურ ხალხებს ხორბლის ზოგადი ხასიათის სახელებიც გააჩნდათ. მაგალითად, „თათუხი“ მაგარ ხორბლებს (Tr. turcum) ეწოდებოდა, „ზანდური“ ერთმარცვლიანთა (Tr. monoceros) ზოგადი სახელი ყოფილა, „დიქა“ (Tr. carthlicum) ყვილა გაზაფხულის ფრიანი ხორბლის სახელია, „იფქლს“ უწოდებდნენ რბილ ხორბლებს, „მაბა“, რომელიც თანამედროვე სისტემატიკის მიხედვით რბილი ხორბლების ჯგუფს მიეკუთვნება, ი. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ძველ დროში ორმარცვლიანთა ზოგადი სახელი ყოფილა. ამავე მკელევარის დასკვნით, „ასლი“ ერთ და ორმაცვლიანთა ზოგად სახელს წარმოადგენდა (ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი 1, გვ. 327—328, 342, 348).

ამთავითებ, სხვა საკითხების გარჩევამდე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიძლებისდაგვარად გავარკვიოთ. „პურის“ სპეციალური და ზოგადი ხასიათის მიზნებით და ამიტომ აქვედან ვიწყებთ.

ცნობილია, რომ ბერძნული სიტყვა πίρις ხორბალს ნიშნავს, ეს სიტყვა, როგორც აღნიშნეთ, იმარება უკვე პომეროსს მიერ. სლავურ და ბალტიის ენებში სიტყვები—purai, pure, pir, pira, put და სხვა ხორბლის აღმნიშნელია. ქართველური ენების მონაცემების საფუძველზე გ. როგავს მიერ დადგენილია, რომ სიტყვა (pur-i) „პური“ ქართული წარმოშობისაა (Г. В. Рогава, к вопросу о грузинском слове pur-i „хлеб“. Сочиния. Ак. Н. Груз. ССР, т. 10—1951). ეს გარემოება საბუთს იძლევა იმ დასკვნისათვის, რომ სიტყვა πίρις ქართული „პურის“ ბერძნული გამოთქმაა, რომ πίρις „პურიდან“ არის წარმომდგარი.

იმის გამო, რომ „პურის“ პირველიდი და მეორადი მნიშვნელობა ზოგჯერ საფავოდ არის მიჩნეული, ამიტომ მის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ჩვენის მოსაზრებით უცველეს დროში, ისე როგორც ამჟამად საქართველოში, სიტყვა პური იმარებოდა, როგორც გამომცვარი საშემელი პურის, ისე თვით ხორბლის მცენარის—პურის მცენარის აღსანიშნავად. გასავებია, როდესაც დაბადების და სახარების ქართულ თარგმანზი სიტყვას „პური“ გამომცვარის მნიშვნელობა აქვს; ეს იმიტომ, რომ თვით ტექსტის შინაარსის მიხედვით, გამომცვარი საშემელი პურის მნიშვნელობის გარდა მას სხვა მნიშვნელობა არ შეიძლება პქონდეს. ასეთი გაგებითაა ნათელებით თუნდაც იყობ ხუცესის (V ს.) „შეზანიეს მარტვილობაში“— „მაშინ მიეკუდ მცირედ ღვიძორი და პური დავალბე“ მაგრამ ეს მნიშვნელობა სრულიად არ გამორიცხავს მეორე მნიშვნელობას, პურის მცენარის, ხორბლეულის მნიშვნელობას. მაგალითად, ქურის კალენდარში (X ს.)

ნათქვამია: სთველი ხმელ, ჰური და ლეინო ფრიად (დიდალი) და ყოველი წე-
ყოფი იეფად "... ასტროლოგიური სტატიის ითანე პეტრიშისუფრაც და და და
(XI ს.) კვითხულობა: „ზაფხული წევიმრიანი, ზეგანთა პურს ეჭვლა მრიცხუ
საგან და თივასაცა ეჭნოს“.

აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სანსკრიტულ ენაზე *ṛigah* ნიშ-
ნავს ნამცხვარს: ლევშელს, ხაბიზგინს, ხაჭაპურს, ასევე ტველინდურ ენაზე სი-
ტყვას „*ṛigas*“ იგივე მნიშვნელობა აქს, რაც სანსკრიტულ „*ṛigah*“-ს. ემს
გარეშე, რომ *ṛigah-puras* ნამცხვარი კეთდებოდა არა ყველა მარცვლეულის
ფქვილისაგან, არამედ გარევეული მარცვლეულის—„*პური*“-ს, ხორბლის ფქვი-
ლისაგან. მაშასადამე, *ṛigah—ṛigas* იმავე დროს ხორბლის ჯიშის აღმნიშ-
ვნელი უნდა ყოფილიყო.

ქართული „*პური*“-ს და სანსკრიტული, ძეველი ინდური *ṛigah—puras*,
ისევე როგორც *mahi—mahā*-ს და ქართული „*მახას*“-ს სიტყვების და მნიშ-
ვნელობების ურთიერთდამთხვევა შემთხვევითი არ არის.

მართლაც და ძროზნის, სტრუვს, ტოლსტოვის, კუტტინის (Грозный,
Протоиндийские письмена и их расшифровка, ВДИ, № 2, 1940: С. П. Тол-
стов, по следам Древне-Хорезмийской Цивилизации, 1948; В. В. Струве—Де-
шифровкаprotoиндийск их надписей, Вест. АН СССР, 8, 1947: История Дре-
внего Востока, стр. 257, 1941: Куфтин, Археологические раскопки в Три-
алети, I, 1941, стр. 126—127) და სხვათა გამოკვლეულების საფუძველზე ცხა-
დი ხდება, რომ ინდო-ევროპული ხალხების და მათი ენების ფორმირებაში გა-
რევეულ მონაწილეობას იღებდნენ არაინდოევროპული *პური—კავკასიური* (იბე-
რო-კავკასიური) ხალხები და მათი ენები და, პირიქით, ლექსიკის ურთიერთ
გამდიდრების საფუძველზე ყალიბდებოდნენ ამ ხალხების ფუძეენები საერთო
სიტყვების გარევეული რაოდენობით. მაგრამ ეთნიკური და ენობრივი დაფუ-
რენციაციის პროცესები და, მაშასადამე, მათი დივერგენცია (დაცილება) სხვა-
დასხვა დროს და სხვადასხვა ტემპებით მიმდინარეობდა სოციალურ-ეკონომი-
ურ და გეოგრაფიულ პირობებთან დაკავშირებით.

გ. მელიქიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „დიდი აღმოსავლური
ცივილიზაციების არსებობის ეპოქაში, ხეთების და *პური-ურარტელების* სა-
ხელმწიფოთა ძლიერების ეპოქაში, ქართული ენა და სხვა იძერიულ-კავკასიუ-
რი ენები და მათზე მოლაპარაკე ტომები უდავოდ უკვე თავისი საკუთარი ინ-
დიგიდუალობის მქონენი იყვნენ, რომლითაც ისინი განსხვავდებოდნენ მონა-
თესავე ცეველი აღმოსავლური ტომებიდანაც კი“ (Г. А. Меликишвили, Наирի-
Урарту. 1954, გვ. 403), ამას შეიძლება დაემატოს ის ცნობილი ფაქტი. რომ
პური-კავკასიური ენები გავრცელებული იყო წინააღმინის და ხმელთაშუაზღვის-
პირეთის ტერიტორიებზე გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე აქ გამოჩნდებოდ-
ნენ სემიტურ, ინდოევროპულ და თურანულ ენებზე მოლაპარაკე ხალხები.

აღნიშნული ფაქტების და მოსახრებების საფუძველზე ყველაზე სწორი
იქნება დასკვნა, რომ სანსკრიტული ძეველი ინდური *mahi—mahat—mahās*. ისე
როგორც *ṛigah—puras*, მიდიან ქართულ სიტყვებთან „*პური*“ და „*მახა*“-სთან,
რომელნიც მოხვდნენ პროტოინდური ენის ლექსიკაში, ძეველი *პური-კავკასი-
ური* და სხვა ინდოევროპულამდელი ენების შეჯვარედინების საფუძველზე.



о. ბახტაცე თავის „მასალებში“ ქუთაისის გუბერნიის რაჭის სამართლებრივი კულტურაში მყოფ მარცელებთა შორის ასახელებს შემდეგი წარმატებები „მახა“, „ზანდური“, „ხულუგო“ და „პური“ (И. Бахтадзе — Материалы по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. II, вып. I, 1886 г.).

აუტორის მიხედვით „ხულუგო“ და „პური“ ჩვეულებრივი ადგილობრივი ხორბლის ჯიშები ყოფილა. „პურს“ ყვითელი ფერის წერილია მარცელები ჰქონია. ავტორის ცოდნით, „მახა“ და „ზანდური“, ცველი გაღმოცემის თანახმად, შემოტანილია სამეცნიეროდან ..., „ხულუგოს“ და მის მეორე ჯიშს (პურს) თესავენ თითქმის განსაკუთრებით ნორმირებით ნორმირებით მარტში (იქვე, გვ. 53).

ი. ჯავახიშვილის მიერ თავის „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ I ტომში (1930), 332-ე გვერდზე მოყვანილ გ. რეხვიაშვილის ცნობის საფუძვლებზე: „რაჭაში ამ ჯიშს, (ე. ი. ბახტაცისეული ხორბლის ჯიშს „პურს“). ახალი პური ეწოდება და შედარებით დიკასა და ხულუგოსთან უფრო ურჩიან ნაყოფით, ისრდება მომსხვ ლეროთი და ფსიანია“. საქართველოში გაერცელდული ხორბლის ჯიშებიდან ქონდარა ხორბალი (*Tr. compactum*) დახსინობულია მაგარი ლეროთი (მომსხვ), წერილი მარცელებით (უფრო მოკლე, ვიღებული რბილი ხორბლის მარცელებით). თითქმის ყოველთვის ფხიანია (ყოველ შემთხვევაში საქართველოში) და უფრო ცნელად ილექტება (უფრო ურჩიანიყოფით), ვიდრე რბილი ხორბალი. ქონდარა საგაზაფხულო ხორბალია. მაგრამ ხშირად შემოცველმას ითესება, რაც ი. ბახტაცის ცნობის ემთხვევა.

უნდა აღინიშვნოს, რომ ქონდარა ხორბალი ცნობილი იყო ჯერ კიდევ პალეოლიტში და მაშასადმე უფრო ცველია, ვიდრე რბილი და მაგარი ხორბლები.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხორბლის ქართული ჯიში „პური“ არის *Tr. compactum* (42 ქრომისობიანი *vulgare*-ს ჯგუფი) ქონდარა ხორბალი. ის გარემოება, რომ საქართველოში XIX საუკუნეში მოსაყვადათ ხორბლის ქართული ჯიში „პური“ (რომელიც ამგამაც, სამწუხაროდ, გამქრალია ჩანს), იმის მაუწყებელია, რომ რაჭა-ლექჩეულში შესაბლეობას, ქართულ ცველის-ცველ ჯიშებთან—მახასთან (ზანდურთან, ხულუგოსთან) ერთად, შეუნარებულია ასეთივე ცველი ჯიში „პური“. ეს ჯიში, როგორც ნავარაუდება, პური-კავკასიური ჯგუფის ხალხებს კულტურაში ჰქონდათ შუა აზიაში ბინადრობის დროს (VII—VI ათწლეული) და შემდეგში გადაბინავებულთ თან წაულიათ ამინტკავკასიაში.

ა. დეკანდოლი ჩვეულებრივი ხორბლის შესახებ იმდროინდელი ლიტერატურის განხილვისას დაასკვნის, რომ *Tr. vulgare* წარმოშობილია მესოპოტამიიდან, რომ მდინარე ევფრატის ოლქი უთუოლ იყო ჩვეულებრივი ხორბლის მთავარი ადგილსამყოფელ ჯერ კიდევ ისტორიიდელ დროში¹⁰ (А. Декандоль — Местопрописхождение культурных растений. 1885 გვ. 366).

ა. დეკანდოლის აღნიშნული მოსაზრება, *Tr. vulgare* მესოპოტამიაში წარმოშობის შესახებ, სწორი არ უნდა იყოს, რადგან დადგენილია, რომ ჩეკ-



ულებრივი ხორბლის—Tr. Vulgare-ს ჯიშური მრავალფეროვნება უდიდესად ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში და განსაკუთრებით აღლანისტანში მარტინი ცეცილზეც ასკენიან, რომ აღლანისტანი (პინდუში) Tr. Vulgaris-ს უმციქუს რი სახეობის წარმოშობის ცენტრია (B. Комаров—Происхождение культурных растений, 1938, გვ. 74—75).

ეს გარემოება საფურცელს უქმნის ჩევნს მოსაზრებას პური-კავკასიური კგუფის ხალხების მიერ ხორბლის ქართული ჯიშის, „პური“-ს შეაზიაში გამოყვანის შესახებ.

ამრიგად, ჩევნი მსჯელობის საფურცელზე „მახა“ და „პური“ ხორბლეულის უცველესი, დაახლოებით „ერთი ხნის“ ქართული ფორმები უნდა იყოს.

რაჭა-ლეჩესტმი-სვანეთი დასაელერ საქართველოს ისეთი მთიანი ნაწილია, რომელსაც დღემდე შემოუნახავს სხვა ქვეყნებში უცნობი ხორბლეულის უცველესი ქართული ფორმების უმრავლესობა, რის გამოც შეიძლება ითვას, რომ რაჭა-ლეჩესტმი-სვანეთი უცველესი ქართული ხორბლების ცოცხალი მუზეუმია.

ღ. დეკაპრელევიჩი სამართლიანად აღნიშნავს, რომ საქართველოს ხორბლები დიდ ინტერესს იწვევენ როგორც სახეობათა და ფორმების სიმდიდრით, აგრეთვე მათი განსაკუთრებული ლირებულებით პრაქტიკის თვალსაზრისით... საჭიროა მრავალსაუკუნიანი კულტურის შედეგად შექმნილი ჯიშობრივი სიმდიდრე... დასლვეულ იქნას საბოლოო მოსპონსისაგნ—. (ლ. ლ. დეკაპრელევიჩ— ვიდე, რანივინობის სახეობის გრუზინ...).

გასაგებია, რომ რაჭა-ლეჩესტმ-სვანეთში შენარჩუნებულია უცველესი წარმოშობის ხორბლეულთა იშვიათი და უნიკალური ფორმები. რადგან სწორედ მთიანი რაიონების დანაწევრებული რელიეფი თავისი ბუნებრივი გეოგრაფიული მიზნებით ქმნის ეკოლოგიური პირობების ფართო დიფერენციაციას და იწვევს ისოლაციას, რაც არა მარტო მცენარეთა ახალი ფორმების წარმოშობის. არამედ მათი შემდეგში თორმების უცვლელად შენახეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუ ხორბლის ქართული ჯიში „პური“, როგორც ნავარაუდევია, გამოყენილია იძერიულ-კავკასიური ჯგუფის ხალხების მიერ შეაზიაში ბინადრობის დროს, მაშინ, უთუოდ, ეს სიტყვა ერთიანი ფურცელის ლექსიკაში იქნებოდა შესული, რომელიც გაცილებით უფრო გვიან ხანებში, ერთიანი ფურცელის ქართველურ ენებზე დიფერენციაციის შემდეგ, მხოლოდ კოლხების ნაწილს და იძერიულებს შეუნარჩუნებიათ დღემდე. ამით აიხსნება, ჩევნის აზრით, სიტყვა „პურის“ ორაოსებობა მეგრულში, კონტრში და სვანურში.

ამრიგად, ნათევამის საფურცელზე მართებულად უნდა ჩაითვალოს ვ. მენაბედის მოსაზრება, რომ ტერმინი „პური“ უფრო აღრინდელია, ვიდრე „ხორბალი“, ისე, როგორც ვ. როგავას მოსაზრება, რომ სიტყვა „პური“ ქართულ ენაში თავდაპირველად ხორბლის ერთ-ერთ ჯიშს აღნიშნავდა.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა მოვიგონოთ, რომ ცელი ბერძნები თავისი ქვეყნის წინაბერძნულ მოსახლეობას უწოდებდნენ პელაზებს. ეს ტომები



დასახლებული იყენებ ეგვიდაში ნეოლითის პერიოდიდან, (III ძეგლის ული) და ლაბარაკომდრენენ არა ინდოევროპულ-კროტოხეტური ცხრულებაში ენაზე. პელაზების თავდაპირველ ადგილსამყოფელოდ მიჩნეული ჰქონის ტერიტორიაზე პურა-კავკასიურ (იბერო-კავკასიური) ენებზე მოლაპარაკე ტომების მეზობლად. (Всемирная история, т. I. 1956: П. Н. Ушаков--Проблема древнейшего населения Малой Азии, Кавказа и Эгейды, ВДИ, № 4. 1939). პელაზების ისენიებს პომეროსი (ვ. წ. IX ს.) „ილიადაში“, რომლის მიხედვითაც აქილევსი იმყოფება არა ბერძენთა ბანაქში. არამედ წინაბერინული მოსახლეობის ბანაკში—„პელაზების არგოსში“. მაშიასადამე აქილევსი ბერძენების მიერ დაპყრობილი არაბერინული მოსახლეობის—პელაზები ერთ-ერთი მეფეა (ს. ყაუსინიშვილი, პერინული ლიტერატურის ისტორია, 1. თ. ყაუსინიშვილის სტრაბონის გეოგრაფიის მიხედვით, 1957, გვ. 19).

ფილოქარეს მიხედვით, სინტიები (კუნძულ ლემინოსის მოსახლეობა) პელაზები ყოფილან. უმცროსი ლოგოგრაფი პელანიკე ლესბოსელი სინტიებს ნარევ ბერძენებს უწოდებს და აღმოსავლეთიდან მოსულ ხალხად თვლის. თვით ბერძენული სიტყვის „სინთიეს“ ეტიმოლოგია ინდოევროპულის განით ვერ იხსნება.

ამ სიტყვის ძირი „სინ“ ქართული „რკინის“ ეკვივალენტთან „სინასთან“ უნდა იყოს კაეშირში (სინტიების ძირითადი ხელობა მაღნეულობის დამუშავება ყოფილა. აპოლონიოს როლისელი, არგონავტიკა. აკ. ურუშავე. განმარტებანი. გვ. 213—214).

გასაგებია, რომ პელაზებისათვის, მათი მცირე აზიაში ყოფნის დროს როვორც პურ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე ტომების მონათესავეთათვის-ცნობილი იქნებოდა ხორბლის ქართული ჯიში „პური“ (Tr. compactum), როს შელიც თვით საბერძნეთში, როვორც პირველი ხორბლეულის სახელი. შემდეგში ხორბლეულის ზოგად აღმინშენელად—„პეიროსად“ გადაქცეულა. „პური“ „პეიროსის“ სახელწოდებით გვხვდება პომეროსის ცნობებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფურცელზე ქართველ ტომებს ხორბლი, თავიანთი ჯიში „პური“ გამოყვანილი უნდა ჰქონდეთ, ყოველ შემთხვევაში, VII—VI ათასწლეულში.

პელაზების მიერ მცირე აზიიდან საბერძნეთში გადატანილი ქართული ხორბალი „პური“ შემდეგ ხანებში გაერტყელდულა ჩრდილო და ჩრდილო, დასავლეთ ევროპაში, რითაც აისხნება ის გარემოება, რომ შევიცარიის ხიმინჯებიან ნაგებობათა ხორბლის ნაშთები—ჰერის გამოკვლევის საფუძველზე, მიეკუთვნებიან Tr. compactum-ს, რომელიც ხორბლის ქართულ ჯიშს — „ქოდარას“ უნდა წარმოადგენდეს.

სავარაუდებელია, რომ უფრო გვიან პერიოდში, ბერძენებმა და შემდეგ რომეალებმა მცირე აზიისა და ამიერკავკასიის ხალხებთან ჯერ საფურცელობისა და შემდეგ მათზე ბატონობის დროს, გაეცვნენ რა ამ ხალხების კულტურებს, ხოგიერთი მათგანი თავიანთ ქვეყანაში გაიტანეს. ამათ შორის, ჩვენის მოსახრებით, უნდა იყოს ქართული ძევლის-ძეველი ხორბლის ჯიშები „ას-ლი“, „ხულგო“ და შესაძლებელია „ზანდური“.



მართლაც, თუ მოვიგონებთ, რომ შევის სანაპიროებზე კულტურული მიღების ახალშენები გააჩნდა (ვ. წ. I ათასწლეული), რომელიც მიღების რის შესანიშნავი იყო სავაჭრო კუნტრი დიოსკურია, სადაც მატურის მემკვიდრეობა საფუცველზე ერთმანეთს ხვდებოლენენ კავკასიის ხალხები და ბერძნები, მაშინ ზემოაღნიშნული მოსაზრება „ასლის“, „ხულუგოს“ და შესაძლოა „ზანუდურის“ საქართველოდან საბერძნეთში (მილეთელების მეშვეობით) გადატანის შესახებ, საფუცველს მოკლებული არ უნდა იყოს. აგას რამდენადმე ადასტურებს ის გარემოება, რომ „ასლი“ Olyra-ს და Zeia-ს სახელწოდებით გვხვდება პომეროსის და პერიოდოტეს (ვ. წ. V ს.) ცნობებში.

მაშინაც აღნიშნულის ასპექტში პროფ. ი. ჯავაბიშვილის მიერ დასმული საკითხი იმის შესახებ, რომ „...რაკი ქართული „პური“ და ბერძნული „პერიო“ ერთმანეთს გახავიანად მიაგვანან“..., ამიტომ „ერთი მათვანი ნასესხები უნდა იყოს“ (ი. ჯავაბიშვილი, საქ. ეკონ. ისტ. წ. I, ვ. 331), გადაკრილად უნდა ჩაითვალოს ქართული „პური“-ს სასარგებლოდ.

ბერძნული სახა-ის ზოგადი და სპეციალური ხასიათის მნიშვნელობასთან დაქავშირებული უნდა იყოს, ჩერნის ფიქრით, რომაელების „Triticum“-ი, რომელსაც ახლა შევეხებით, რისვისაც ჯერ მოვიყვანთ რომელ მწერალთა ზოგიერთ ცონბას მის შესახებ. პლინიუსის (24 – 79 წ.) გადმოცემით „...კალონე ლეწნე ხორბალს, Siligo-ს და ქერს...“ (Катон, Варрон, Колумелла и Плиний о сельском хозяйстве, 1937, ვ. 241).

„...ჩველაზე გავრცელებულ და მნიშვნელოვან ჯიშს წარმოადგენს ასლი (მოლა), რომელსაც რელად adorem-ს, Siligo-ს და Triticum-ს უწოდებლენენ (იქვე, ვ. 244).“

„...ის (ე. ი. Siligo) კარგია ტენიან ადგილებისათვის... სხვა ადგილებში ის ხორბლად გარდავჭმას ვანიციდის“ (იქვე, იგივე გვერდი).

„...Siligo, ასლი (far), ხორბალი (Triticum) და ქერი გამარგლე ის ვა-დებში, რომელზედაც მითითებული იქნება“ (იქვე, ვ. 259)... კოლუმელას (I ს.) რჩევით ტენიან ადგილებში უკეთესია ვთესოთ ასლი, ვიდრე ხორბალი (М. П. Катон, Земледелие, 34-ე თავის კომენტარი).

„...Siligo და ხორბალი უნდა ითესებოდეს მაღალ და გაშლილ ადგილებზე, სადაც გაშუქება უფრო ხანგრძლივია“ (Катон, Варрон და სხვ. იქვე, ვ. 99)...“

უკვე დასახელებული პლინიუსი ხორბლის შესახებ წერს შემდეგს:

„...სახამებელი კეთდება ყველა ხორბლიდან და Siligo-დან. თუმცა უკეთესი გამოდის ვ თვიან ხორბლიდან“ (იქვე, ვ. 243)...“

„...Siligo-ს მე ვუწოდებდი ხორბალთა ხორბალს“. (იქვე, ვ. 214)...“

„...პონტოს ტომები უპირატესობას ანიჭებენ მოქარს. სხვა ყოველგვარ ხორბალთან შედარებით“... (იქვე, ვ. 247).“

აღნიშნული ცნობების დაკვირვებით განხილვა გვარწმუნებს, რომ რომა-ელ მწერლებს სიტყვა „Triticum“-ი ორი მნიშვნელობით აქვთ ნახმარი:

ზოგიერთ შემთხვევაში „Triticum“ პურეულის ერთი, გარკვეული ჯიშის აღმნიშვნელი უნდა იყოს, სახელიდან მაშინ, როდესაც „Triticum“-ი პუ-

რეულის სხვა ჯიშებთან თუ ფორმებთან გვერდით არის მოყვანილი. მაგან-
თად, „Siliquo“ და ხორბალი უნდა ითესებოდეს მაღალ და ტენიან ადგილზე”....
...ან „Siliquo“, ასლი (far), ხორბალი (Triticum) და ქერი გამარტინი პრეცესი
ვადებმი“.... კიდევ“ტენიან ადგილებში უკეთესია ვთესოთ ასტაბრუში მიჩე-
რბალი“ და სხვ.

ხოლო როდესაც ნათქვამია მაგალითად„სახაზებელი კეთდება უკელა-
ხორბლიდან“, ან„Siliquo-ს მე უწმოდებდი ხორბალთა ხორბალს“. ან კი-
დევპონტოს ტომები უპირატესობას ანიჭებენ მოჰარს სხვა ყოველგვარ
ხორბალთან შედარებით“.... და სხვა, მაშინ Triticum—პურეულის უკე ზოგა-
დი აღმნიშვნელია, საზოგადოდ ხორბლეულის შნიშვნელობით არის ნახ-
მარი.

ამრიგად, რომში „Triticum“ პურეულის როგორც ზოგადი, ისე სპეცი-
ალური სახელის აღმნიშვნელი ყოფილა. ეს გარემოება, ჩვენის მოსაზრებით,
საყურადღებო რამ არის ლათინური სიტყვის „Triticum“-ის პირველადი შნიშ-
ვნელობის დასადგენად.

უპირველეს ყოვლისა უნებლიერ იბადება აზრი იმის შესახებ, რომ, ისე
როგორც ბერძნული სიტყვა საურა საბერძნეთში ხორბლის პირველი ჯი-
შის—ქართული ხორბლის ჯიშის „პურის“ აღმნიშვნელი ყოფილა, ხოლო შემ-
დევში ის საერთოდ „ზოგადი ხორბლეულის აღმნიშვნელად ქცეულა. სევე
რომაელთა „Triticum“-ი, რომელიც ბერძნული „საურა“-ის თარგმანს წარ-
მოადგენს, რომში ჯერ პურეულის გარევეული ჯიშის („პურის“—საურა-ის),
შემდევ კი ზოგადი ხორბლეულის ანუ პურეულის აღმნიშვნელი უნდა ყოფი-
ლიყო.

მაშასადამე, ნათქვამის საფუძველზე რომაელების Triticum-ი საბერძნე-
თიდან გადატანილ „საურა“-ად მოჩანს.

დასახელებული რომაელი მწერლების ცხოვრების პერიოდში „Triticum“-ის
ერთდროულად ორივე მნიშვნელობით—ზოგადი და სპეციალური მნიშვნე-
ლობით ხმარება, როგორც საფიქრებელია, იმის ანარეკლს უნდა წარმოად-
გენდეს, როდესაც პურეულის სპეციალური სახელი (Triticum) ხმარებაში შე-
დის, როგორც პურეულის ზოგადი აღმნიშვნელი...

ქართული „პურის“, ბერძნული „საურა“-ის და რომაელთა „Triticum“-ის
ზემოთ მოკლედ განხილული საკითხი კავშირში იმყოფება ზოგიერთი ხორბლე-
ულის რაობისა და გაერცელების საკითხთან საბერძნეთ-რომში, რადგან სავა-
რაუდებელია, რომ ხორბლის ქართული ჯიშის—„პურის“ გარდა, ხორბლეუ-
ლის რამდენიმე სხვა ფორმაც იქნებოდა გადატანილი. ამ ფორმებს შორის ას-
ლები და „Siliquo“ უნდა ყოფილიყო.

აკად. უუკოვსკის მიხედვით, ასლი (ვოლბა) Tr. dicoccum ანუ Tr. spel-
ta ანუ Tr. vulgare dicoccum და სხვ. ურეველესი პურეულია, რომელიც კულტუ-
რაში ყოფილა შუმერ-აკადმი და ევვიპტემი 4000 წლის წინათ წე. წელთაური-
ცხამდე (П. М. Жуковский, იქვე, გვ. 72—73).



ეკროპაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები და ზოგიერთი მცველი ვარის მოსაზრებანი აღასტურებენ, რომ ასლი ცნობილი იყო ეჭვრუსტუსული ლითის ეპოქაში. ასლის სახელების უქონლობა სანსკრიტულ და მარგული ეპოქური ენებში. ჩინურ და სპარსულ ენებში, ჩევნის მისაზრებით, იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ასლები იძერიულ-კავკასიური ჯგუფის ტომების შეაძლიშვილი ბინატრობის დროის უფრო გვიანი პერიოდის წარმოშობისაა, რომლის ადგილად შევაძლება მივიჩნიოთ აბიერკავკასია და მესოპოტამია. ამავე დროს ზემომოცუკანილი მასალებიდან და არქეოლოგიური გათხრებიდან ისიც ჩანს, რომ იძერიულ-კავკასიური ჯგუფის ტომები უფრო აღრე იცნობდნენ ასლს. ვიდრე ეკროპული ხალხები.

2. დეკანდოლის (A. Dekandolle, იქვე გვ. 371—72) და აკად. კომპაროვის (B. M. Комаров. Происхождение культурных растений, 1933, გვ. 78) ცნობა იმის შესახებ, რომ არც ერთ აზიურ ხალხს პოლბის სახელი არ გააჩნია, გაუგებრობას წარმოადგენს, რადგან ქართველებს პოლბის შესახუების სახელი. „ასლი“ გააჩნიათ, რომელიც პროფ. ი. ჯავახიშვილის დასკვნით გერმანულ „სპელტას“ (Spelta) ან „Dinkel-სუდრის (ი. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 338). ამავე დროს ასლების ორი ჯგუფის — ერთმარცვლიანთა და რომარცვლიანთა ქართული სახელებია — ზანდური (Tr. monosocium) და მარა (Tr. dicoccum). ი. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 342).

ვიდრე ასლების და „Siligo“-ს რაობისა და გავრცელების ხაყითხხე გადავიღოდეთ, საქორთვა აღინიშნოს, რომ ქემომცვევანილი ზოგიერთი ცნობის ლაკონიურობის გამო. მასთან დაკავშირებულ ჩევნის მოსაზრებებს ძლიერ პირობითი და მიახლოებითი ხასიათი აქვს, რადგან რაიმე გარკვეული დასკვნებისათვის საქორთვა მასალა, ყოველ შემთხვევაში ჩევნის მიერ გამოყენებულ წყაროებში, არ მოიპოვება.

დეკანდოლის შენიშვნით, ბერძენ მშერლების მიერ პურეულის აღწერილობა იმდენად მოკლე და მცირე მნიშვნელოვანია, რომ მუდამ ეჭვს იწვევს სახელების მნიშვნელობის თვალსაზრისით. მაგრამ მეცნიერთა აზრით, თავდაპირებულ Olyria, ხოლო შემდეგ Zeia — ასლის ბერძნული სახელებია. პლინიუსის Semen და Far — ასლის რომაული (ლათინური) სახელებია, რომელმიდაც ან Tr. monosocium ან Tr. dicoccum-ი იგულისხმებოდა (A. Dekandolle, იქვე გვ. 370—371).

3. გენის აზრი იმის შესახებ, რომ პირველყოფილი ხალხი, თავის წილში შემდგომი დროის ბერძნების, ლიტოვიულების და ინდუსების მატარებელი, ბერძნული კურა-ის, ხრაჭუ-ს და ჰეს-ს, ლათინთა hordeum-ის, სლავთა პექტა-ის. სანსკრიტული rishah-ს სახელებით აღნიშნავდა რომელიმაც ბალას, ზესაძლებელია საჭმელად ვარგისი მარცვლებით თავთავში (B. Ген, Культурные растения и домашние животные, 1872, გვ. 13—14), თანამედროვე ისტორიული, არქეოლოგიური, ლინგვისტიკური და სხვა მონაცემების საფუძველზე, ძლიერ გამარტივებული და აპრიორული ჩანს.

პროფ. მ. ი. ბურსკი აღინიშნავს, რომ „ანტიკური სამყაროს პოლბების და ხორბლების სხვადასხვანაირი სახელების ზუსტი განსაზღვრა სპეციალურ ლიტერატურაში უკილობლად დადგენილი არ არის. ხოლო ხანებში გამოთ-



ქმულია შოსაზრებანი, რომ რომაელები არ იცნობდნენ *Tr. spelta*-ს და რამდენიმე სხვადასხვა სახელი—*adlorem*, *erince*, *far* და სხვ. მიეკუთვნება შემდეგი ტერმინი *Triticum* გვარის სხვა სახეობებს. *Tiphie*, როგორც ჩატვირტების ანია (*Tr. monococcum*), *Zea*—ორმარცულიანი (*Tr. dieaceum*). საფიქროებელია, რომ *Siligo* საშემოდგომო ხორბლის ჯიშია... (Катон, Варрон, Колумелла и Плиний о сельском хозяйстве, 1937. № 244. რედ. Шерниშვილი).

შიგმართოთ ბერძენ-რომაელ მწერლების ზოგიერთ ცნობას.

ქსენოფონ ტე (დვ. წ. 431—354 წ.) „ანაბაზისში“ მოგვითხრობს რომ ... ელინებს მოსინიების სახლებში და სარდაფებში უნახავთ დიდძალი გამომცვარი და ახალი მოსავლის გაულეშვივი პერი, რომლის უმეტესი ნაწილი პოლბა (ასლი) ყოფილა („ესანდე ერია ის პლეისტაი“) ANABASIS წიგნი V, თ. IV, § 27).

პლინიუსის (24—79 წ.) ცნობით უკიდურეს გარცელებულ და მნიშვნელოვან ჯიშს წარმოადგენს „პოლბა“ (ასლი), რომელსაც ციკალ *adloreum*, *Siligo*, *Triticum*-ს უწოდებდნენ“.

....მოელი გვარიდან ყველაზე უხეში და ზამთრის სიციების მიმართ ყველაზე გამძლე არის ასლი „far“. (Катон и другие—Сборник, 33. 244)იმის შესახებ, რომ რომაელები 300 (თუ 360) წლის განმავლობაში ყველა მარცვლეულიდან მხოლოდ ასლით (პოლბა) სარგებლობდნენ, მოგვითხრობს ვერიდ. (იქვე, გვ. 241);რომ სიტყვა *farina* (ფრეილი) წარმოშობილია *far*-უან (ასლიდან), ეს აშეარია თვით სახელიდან“... (იქვე, გვ. 245)

....პოლბას (ასლი) ფხა არ გააჩინა“... (იქვე, გვ. 246)

...პოლბა იყო ლაციუმის ტერმინი მცხოვრებლების პირველი ხორბალი“... (პლინიუსი, 18, 83).

კოლუმელა (I ს.) შემდეგ ცნობებს გვაწვდის:

....მეტივი, თეთრი თიხნარი და ტენიანი მიწა ირაულად ზრდის პოლბას (ასლი)“...

....პოლბას ნაკლებად ვნებს სინესტე (ვიღრე ხორბალს)“...

....(ტენიან ადგილებში) უკეთესია ვთესოთ პოლბა (ასლი), ვიდრე ხორბალი, რადგან ის (ასლი) მოთავსებულია მაგარ და ხანგრძლივ სინესტეს გამძლე ჩენისში (კილში)...“ ასეთივე შეხედულებისაა გარონიც (М. П. Катон, Земледелие, გვ. 166, 34-ე თავის კომენტარი).

ქსენოფონ ტე—პლინიუსის უკიდურეს ზემომოყვანილი ცნობების ანალიზის სფურველზე შეიძლება ვივარიულოთ, რომ უძირველეს ყავლისა ასლი* (*Tr. dieaceum* და *Tr. monococcum*) რომში ვადატანილი უნდა იყოს ჰანგბის ტომის—მოსინიების ქვეყნიდან დაახლოებით დე. წ. შე-IV ს. როდესაც ბერძენ-რომაელები ლაშერობის შემდეგ თავიანთ ქვეყანაში ბრუნდებოდნენ და მოსინიების შიწაწყალზე გავლისას „ასლი“ ნიხეს. ამ მოსაზრების თვალსაზრისით ძლიერ საგულისხმოა ცლინიუსის ცნიბები იმის შესახებ, რომ, ვერის მოწმობით, იტალიაში 300 წლის შანდილზე მარცვლეული ყულ-ტურებიდან მხოლოდ „ასლს“ იცნობდნენ და რომ „ასლი“ ლაციუმის მცხოვრებთა პირველი ხორბლეული ყოფილა. ზართლაც და, რადგან ვერის ცხოვრობდა 1 საუკუნეში. წელთაღ-მზე და მისი მოწმობით სამასი წლის შანდილზე იტა-



ლიაში მხოლოდ ასლის იცნობდნენ, მაშინ შე-IV საუკუნე ჩვ. წელთაღ-მდგრადისი ნიერების ქვეყნიდან იტალიაში ასლის გადატანის თარიღს უნდა ჩატარდებოდეს.

პლინიუსის ცნობა იმის შესახებ, რომ ფევილის ლათინური სახელი farina წაომომდგარია პოლბის (ასლის) სახელისაგან ჩა-ისაგან, იმაზე უნდა მიგვითოვდეს, რომ სიტყვა farina ლათინურ ლექსიკაში შესულია პოლბის კულტურის გაცნობის შემდეგ.

რომ ბერძენ-რომაელთა ასლი (პოლბა) თანამედროვე გავებით მართლაც ასლს—Tr. diecoccum-ს წარმოადგენდა, იქიდან ჩანს, რომ, როგორც ამას კოლუმელა აღნიშნავს, ასლის მარცვლები მჭიდროდ შეკრულია თავის აფსეს (plenka), ჰარბი ნალექებისა და აგრეთვე გვალვის კარგი მატანია და ცუდ ნიადაგზე ხარბის (ნიადაგობრივი პირობების, მიმართ ნაკლებ მომთხოვნია). მხოლოდ პლინიუსის ცნობას ასლის (პოლბას) უფსონდის შესახებ გაუგებრობა შეაქვს ასლის თანამედროვე გავებაში, რადგან ცნობილია, რომ ასლები საერთოდ ებიანი ხორბალია.

აქ შესალებელია ვაფიიქროთ, რომ რომაელების „ასლი“ ნარევს წარმოადგენდა, რომლის უმეტესობას უფხო რბილი ხორბალი „Siligo“ შეადგენდა (ამის შესახებ ი. ქემოთ). ამას გვაფიიქრებინებს პოლბის (ასლის) და Siligo-ს ხშირად ერთად დასასელება. მაგ., პლინიუსი მიმობს „პოლბას ფხა არ გააჩნია, ისე როგორც Siligo-ს. ლაკონიურის გამონაკლისით“. ან კიდევ „პოლბას ცელად adorem, Siligo, და Triticum ეწოდებოდათ“.

ამავე დროის პლინიუსის ამ უკანასკნელ ცნობას მეტად გაურკვეველი ხასიათი აქვს და რაიშე სისტემატიკური წარმოდგენების კვალსაც მოქლებულია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხორბლების ბერძენ-რომაელთა ცოდნა, ხორბლების სისტემატიკაზე ბერძენ-რომაელთა წარმოდგენები იბერიულ კავკასიური ჯვეფის ხალსთა ცოდნაზე და წარმოდგენებში გაცილებით დაბლა იდგა. ნათევამის შესახებ ჩვენ აქ მსჯელობას არ გავაგრძელებთ, მხოლოდ საკმარისია ალვნიშნოთ. რომ ბერძენ-რომაელების მაშინდელი ლექსიკა შედარებით ცარიბი იყო მარცვლეულთა ზოგადი და კერძო-სპეციალური ხასიათის სახელებით, ზოგჯერ მარცვლეულის სხვადასხვა ფორმის ერთი სახელით აღნიშნავდნენ, ხოლო ზოგჯერ ორი სხვადასხვა სახელით, რომლებიც პირველი შეხედეთ არი სხვადასხვა ჯიშის ან სახეობის ალმნაშენელნი უნდა ყოფილყოფნი, სინამდვილეში კი თავისი ჩინიშენელობით მავალოდ ერთმანეთისაგან არ განხევდებოდნენ (მაგალითად, ბერძენული „სიტოს“ და „პეიროს“, ლათინური frumentum და Triticum. ი. ჯავახიშეილი, საქ. ეკონომიკური ისტორია, გვ. 388 და სხვ.).

ხორბლების უკველესი ქართული სახელები, ცნობილი ქართული ორიგინალური დოკუმენტებიდან (მაგ. იუქლი, დიკა, მახა, ზანდური, დოლის პური და სხვ.), ნათარგმნ ბერძენულ დოკუმენტებში არ მოიპოვება, რაც იმის შაჩქენებელია, რომ ამ ხორბლებს ბერძენები არ იცნობდნენ და ამიტომ მათი სახელებიც არ გააჩნდათ.

შემომყვანილ პლინიუსის ცნობაში *adoreum*, *Siligo* და *Triticum* გვ. ვ-
ებულია. ლათინური სიტყვა „*adoreum*“ ნიშნავს „პლობისას“, „ასლისას“ (იილ-
ბენისა). *Siligo* ხორბლის ერთ-ერთი ჯიშია. ხოლო *Triticum* უკავშირდება
და ზოგჯი ხასიათის მიზნების მქონე. თუ ასეთ გაურკვეტების მქონე
ლი ჰქონია პლინიუსის გამოთქმით „ძველად“, არც უფრო გვინ ხანებში,
თვით პლინიუსის და მის თანამედროვეთა დროს, ხორბლეულთა სისტემატიკა
რომელი წინ არ წასულა.

პლინიუსის და სხვა ორმაგლი მწერლების ზოგიერთი შემომყვანილი
ცნობა პლობა-ასლის (*adoreum*). *Siligo*-ს და *Triticum*-ის ზესახებ. იმაზე მი-
გვითითებს, რომ საზოგადოდ ხორბლეულები იმ დროის რომაელებისათვის შე-
დარებით ახალი კულტურა იყო და ამიტომ მათ რაობაში ჯერ კიდევ გარკვე-
ული არ იყვნენ.

რომაელების „*Siligo*“-ს რაობის გარკვევის მიზნით მიემართოთ უკვე და-
სახელებული რომაელი მწერლების ზოგიერთ ცნობას.

პლინიუსი ამბობს (Катон, Варрон და სხვ. ...იქვე, გვ. 244) „*Siligo*“-ს
ე უცწოდებდი ხორბალთა ხორბალს თავის სითეთრის, მაღალი ხარისხის და
სიმინდის მიხედვით. ის კარგი ტენიანი ადგილებისათვის“.

„*Siligo*“-საგან კეთდება საუკუთხო პური და საუკუთხო საშაქარლამო
ნამუსერები“

„*Siligo*“ თანაბრად არასოდეს არ მწიფდება, არ არსებობს სხვა მცენა
რე. რომელიც უფრო ნაკლებად ითმენდეს დაყოვნებას მოსაელის ალების დროს
თავისი სინაზის გამო და აგრეთვე იმის გამო, რომ მარცვლები ცვივა, რო-
გორც დამწიფდება“...

....ის (ფ. ი. *Siligo*) სხვა დანარჩენი მარცვლეულებიდან ყველაზე ნაკლებად
გარდება საფრთხეში იმ შერიცოდში. როდესაც ის ნამჯე (ლეროს) ანილებს,
რაღაც მისი თავთავი ყოველთვის სწორმდგომია და მასზე არ ჩერბა (კვარი,
რომლისაგან უანგი ჩნდება“... (იქვე, გვ. 245).

....პლობას (ასლი) ფას არ გააჩნია, აგრეთვე „*Siligo*“-საც ლაქონური
ჯიშის გარდა (იქვე, გვ. 246)... „*Siligo*“ ითესება ნოემბერში” (გვ. 262).

კოლუმბელა „*Siligo*“-ს შესახებ ამბობს:

....მეორე ადგილი უნდა მივაკუთხოთ „*Siligo*“-ს, რომელიც პური-
სათვის საუკუთხოა, მაგრამ მსუბუქია“... (М. П. Катон, Земледелие. გვ. 160,
35-ე თავის კომენტარი).

....როდესაც წვიმის ან სხვა მიზეზების გამო თესვა დაგვიანებულია (თე-
სვის ვადა გასულია), მაშინ მიმართავთ „*Siligo*“-ს (იქვე,
იგივე კომენტარი)...“

მაშასადამე, შემოთ მოყვანილი ცალკეული ცნობების საფურცელზე, შეი-
ლება „*Siligo*“-ს შემდეგი დახასიათება მივცეთ: *Siligo* ხორბალთა ხორბალია
თავისი ხარისხით, სითეთრით და სიმძიმით. ის კარგია ტენიანი ადგილებისათ-
ვის. მისგან კეთდება საუკუთხო პური და საშაქარლამო ნაშეცრები, თანაბრად
არ მწიფდება, მოსალის ალების დაყოვნებას ვერ ითმებს, რაღაც მარცვლე-
ბი ცვივა როგორც კი დამწიფდება: „*Siligo*“ უფრო, ითესება ნოემბერში (ამი-
ტონისაც, კოლუმბელას მოწმობით, რომაელები მიმართავდნენ მას როდესაც წვიმე-

ბის ან სხვა მიზუშების გამო თევეა დაგვიანებული იყო), არ ავალება და რეცეპტორი, რადგან ქანგის გამოწვევი ცვარი მასზე არ ჩებდა იმის გამო, უკრაშვილული სწორმდგრმია (ალბათ იძირობ. რომ დერო მსხვილია).

